1479

Ц. Историческ[illegible] Архив
Фонд № 481 оп. № 1 Ед. хр. № 1479

1479. (№ 6081). 43. საზოგადოების წევრთა წლიური კრების ოქმები. 1915 წ. ნოემბრის 21—დეკემბრის 12 ფურ. 29.

1809 ... 1 ... 184 ...

1915.
30 л.

форма № 5

Государственный архив ______________________ республики, края, области

# Лист использования документов

фснд № 481 год. __________ опось № 1 дело № 1479

Названия единицы хранения ______________________

| Дата использования | №№ использованных листов | Для какой цели использован документ | Ханактер использования документа (если снята копия или сдлана выпись—указать способ воспроизведения и кому выдано) | Должность и подпись лица, сделавшего запись |
|---|---|---|---|---|
| 14/VI 1972г. | | | [illegible] | [illegible] |
| 7.X.78 | 2, 7, 8, 15, 20 | | [illegible] | [illegible] |
| 27.11.[illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 30/VII 1980 | | [illegible] | | [illegible] |
| 4/I 84 | 2, 21, 22 | | [illegible] | [illegible] |

т. ц. з. №2842 т. 2000

№ 43-ე

ფ° 481 ანწ 6081

# საქმე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა

[illegible]
ოქმები, 21, 22, 29 აპრილის
და [illegible] 12 [illegible]

შესახებ

დაიწყო 1915 წ.

გათავდა 191 წ.

29/30 „ ფურცელს შეიცავს საქმე.

სტამბა ბართლომე კილაძისა.

№ 1

1

# ო ქ მ ი .

## ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური მორიგი კრებისა 1915 წლის 21 ნოემბერს.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა დღის 12½ საათზე. დაესწრნენ საგანგებოდ ამ კრებაზე მოწვეული მისი ყოვლად უსამღვდელოესება ეპისკოპოზი ანტონი თავის კრებულით, საზოგადოების საპატიო წევრი ანასტასია წერეთლისა, თავმჯდომარის ამხანაგი დ. გ. კარიჭაშვილი, გამგეობის წევრნი: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, ნ. ნაკაშიძე, ლ. ბოცვაძე, იპ. ვართაგავა, პ. კიკალიშვილი, გ. ცინცაძე, თ. კიკვაძე და "90" ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა მიმართა კრებას მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა კრების საგანგებო ხასიათი საზოგადოების 35 წლის მოქმედებისა გამო, რის შემდეგ მდივანმა ვ. ბურჯანაძემ წაიკითხა თავმჯდომარის მიერვე შედგენილი მოხსენება წ. კ. გ. საზოგადოების 35 წლის მოქმედებისა და ახლად დაარსებულ კავკასიის სამეფისნაცვლოს კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირის შესახებ.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ გორის ეპისკოპოზმა ანტონმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა დიდი მნიშვნელობა წ. კ. გ. საზოგადოებისა, თუ რა სარგებლობა მოუტანა მან და შეუძლია მოუტანოს ეროვნულ საქმეს. და უსურვა საზოგადოებას დღეგრძელობა და ნაყოფიერად მუშაობა. შემდეგ ამისა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ კრებულის თანამსახურებით გადაიხადა პარაკლისი საზოგადოების გამგეობისა და საზოგადოების წევრთა სადღეგრძელოდ და მოიხსენია საზოგადოების დამფუძნებელნი. საზოგადოების პირველის თავმჯდომარის და ამ საზოგადოების სულის ჩამდგმელის დიმიტრი ყიფიანის ხსენების დროს მთელმა კრებამ მუხლი მოიყარა გირლიანდებით შემკულ განსვენებულის სურათის წინაშე.

პარაკლისის შემდეგ კრება შესწყდა 15 წუთით.

კრება განახლდა 1 საათსა და 20 წუთზე. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილმა მიმართა საზოგადოების თავმჯდომარეს გ. ნ. ყაზბეგს მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა მისი დაუღალავი, ნაყოფიერი მუშაობა და უსურვა მას მრავალ ჟამიერ სიცოცხლე საკეთილდღეოდ და სასიქადულოდ ქართველი ერისა.

თავმჯდომარე ეკითხება კრებას ღებულობს თუ არა ის წინადადებას ახლად დაარსებულ კავკასიის სამეფისნაცვლოს კულტურულ განმანათლებელთ სა-

ზოგადოებათა კავშირში წევრად ჩაწერისას. ამ წინადადების გამო კრებამ
ერთხმად დაადგინა: "შეუერთდეს ახლად დაარსებულს კავკასიის სამეცნიერო
ვლის კულტურულ განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირს და ჩაეწეროს წევ
რად ამ კავშირში".

თავმჯდომარე აყენებს საკითხს ქართველ მოღვაწეთა პანთეონის დაარსე-
ბის შესახებ დიდუბის ეკლესიის გალავანში. მდივანი ვ. ბურჯანაძე კით-
ხულობს გამგეობის მოხსენებას ამ საკითხის გამო. თავმჯდომარე ეკითხე-
ბა კრებას ამტკიცებს თუ არა იგი მოხსენებას პანთეონის დაარსების შე-
სახებ.

მცირე კამათის შემდეგ კრება ამტკიცებს მოხსენებას და ამ მოხსენე-
ბიდან გამომდინარე გამგეობის შემდეგ კონკრეტულ წინადადებებს:
" I. პრინციპიალურად დროს შესაფერისად აღიარებულ იქმნას ქართველ მოღ
ვაწეთა სავანე-პანთეონის მოწყობა დიდუბის ეკლესიის გალავანში.

2. გადაიდოს ათას ათასი /I000 მან./ მანეთი ხუთის წლის განმავლო-
ბაში შეძენილ და უკვე შემოღობილ ადგილის შესასყიდლად და დამტკიცებულ
იქმნას შემოღობვაზე გაწეული ხარჯი 205 მანეთი, რომელიც უნდა დაიფა -
როს I9I5 წლის შემოსავლის ნაშთიდან.

3. მიენდოს გამგეობას განსაკუთრებული კომისია შეადგინოს, რომელ-
მაც უნდა შეიმუშავოს როგორც არქიტექტურული გეგმა, აგრეთვე ხარჯთ-აღ-
რიცხვა პანთეონის მოწყობისა და ინსტრუქცია ქონების მართვა-გამგებლო-
ბისა. შედგენილი გეგმა და ინსტრუქცია უნდა წარედგინოს დასამტკიცებ-
ლად მომავალ საზოგადო კრებას.

4. განსაკუთრებულ წერილის საშუალებით მადლობა გამოეცხადოს მის მა
ღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პიტირიმს, ეპის-
კოპოზ ანტონს და დეკანოზს მირიანაშვილს ამ საქმეში დახმარების აღმო-
ჩენისათვის".

კრება დაიხურა ღლის 2 საათსა და I0 წუთზე.

შემდეგი კრება დაინიშნა 22 ნოემბერს, დილის II საათზე, ხარფუხის
კლუბის დარბაზში.

კრების თავმჯდომარე

მდივანი

№ 2. 2

## ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა წლიური მორიგი კრების 22 ნოემბერს, 1915 წ.

კრება გახსნა თავმჯდომარის ამხანაგმა დ. გ. კარიჭაშვილმა დღის 12 საათზე. დაესწრნენ: საზოგადოების საპატიო წევრი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, გამგეობის წევრნი: გ. ლასხიშვილი, ლ. ბოცვაძე, ნ. ნაკაშიძე, შ. დედაბრიშვილი, გ. ცინცაძე, გ. რცხილაძე, თ. კიკვაძე და 92 ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი. ბატონებო! გუშინ ჩვენის საზოგადოების თავმჯდომარის გ. ნ. ყაზბეგისაგან ფრიად არა სასიამოვნო შინაარსის წერილი მივიღე. ამ წერილში გ. ნ. ყაზბეგი ავადმყოფობისა და მოხუცებულობისა გამო უარს აცხადებს თავმჯდომარეობაზე. გ. ნ. ყაზბეგი დღიდან მისი თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევისა, დაწყებული 1908 წლიდან დღემდე, თითქმის 8 წლის განმავლობაში, ნამდვილ დარაჯად უდგას საზოგადოების ინტერესებს; მისი ავტორიტეტული მეთაურობისა და ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი საზოგადოება არა ერთხელ ასცდენია მოსალოდნელ განსაცდელს-ხიფათს. ბ-ნი ყაზბეგი სამაგალითო ხელმძღვანელობას უწევს კანცელარიას, გამგეობის კრებებს, სექციებს... ერთის სიტყვით, მისი წასვლა დიდი დანაკლისი იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის. გუშინ გამგეობას საგანგებო კრება ჰქონდა განსაკუთრებით ამ საგნის შესახებ და ერთხმად დადგენილ იქმნა ეთხოვოს ბ-ნს ყაზბეგს კვლავაც დარჩეს თავმჯდომარედ. ამავე გამგეობის საგანგებო კრების დადგენილების თანახმად წინადადებას ვაძლევ საზოგადო კრებას აირჩიოს თავიანთ წევრთა შორის განსაკუთრებული დეპუტაცია და ამ დეპუტაციის საშვალებით სთხოვოს ბ-ნს გ. ნ. ყაზბეგს უკან წაიღოს თავისი წინადადება და დარჩეს თავმჯდომარედ.

ა. ს. ლულაძე. მე ვიცი ბ-ნი გ. ნ. ყაზბეგის აზრი. მას არა ერთხელ უთქვამს, რომ მოხუცებულობისა გამო აღარ შეუძლიან განაგრძოს გამგეობის თავმჯდომარეობის თანამდებობაზე სამსახური, რადგან მისი აზრით, ისე სამსახური, როგორც მას ესმის, ე. ი. ყოველ საქმის გაცნობა, აწონ-დაწონვა ყველა კრებებზე დასწრება მისთვის შეუძლებელია, სხვანაირად კი, მოუხერხებლად მიაჩნია ატაროს თავმჯდომარის სახელი. ეს თუმცა ასე არ არის; ბ-ნი ყაზბეგი დღესაც ისე იმსახურებს, როგორც აქამდე, ერთგულად მსახურებდა, მაგრამ იქნება კაცს დასვენება უნდა და ჩვენც თავისუფლება მივცეთ, ხოლო ამოვირჩიოთ იგი საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ და მივ-

ცეთ ფაქტიურად მომუშავე თანაშემწე.

შ, მიქელაძე. წ. კ. გ. საზოგადოების წესდება ნებას არ გვაძლევს საპატიო თავმჯდომარის არჩევისას. მერე ეს შეურაცყოფა იქნება ბ-ნი გ. ნ. ყაზბეგისა, რომელსაც დღესაც იმავე ენერგიით შეუძლიან იმუშავოს, როგორის ენერგიითაც დღემდე მუშაობდა. ავირჩიოთ დეპუტაცია და ამ დეპუტაციის საშუალებით ვსთხოვოთ ბ-ნ ყაზბეგს კვლავაც დარჩეს თავმჯდომარეთ. უკეთეს თავმჯდომარეს ჩვენ ვერ ვიშოვით.

კრება ერთხმად ღებულობს წინადადებას დეპუტაციის არჩევის შესახებ, ხოლო თავმჯდომარის განმარტების შემდეგ, რომ კრება ჯერ ჯერობით მცირე რიცხოვანია და დეპუტაციის არჩევა სჯობს მოხდეს ერთის ან ორი საათის შემდეგ, როცა წევრნი მიემატებიან, — დეპუტაციის არჩევა დროებით გადაიდო.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს 2I ნოემბრის კრების ოქმს. კრება ოქმს უცვლელად ამტკიცებს.

თავმჯდომარე. მორიგი განსახილველი საგანი არის I914 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში. ეს ანგარიში დაბეჭდილია და ალბად წაკითხული გექნებათ. თუ ინებებთ კიდევ წავიკითხოთ.

კრება ანგარიშის წაკითხვას ზედმეტად სთვლის, ხოლო საჭიროდ აღიარებს სარევიზიო კომისიის შენიშვნებისა და ამ შენიშვნებზე გამგეობის პასუხის წაკითხვას.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას I914 წლის ანგარიშისა ~~გამო~~ და გამგეობის პასუხს სარევიზიო კომისიის შენიშვნებისა გამო.

წაკითხულ მოხსენებათა გამო თავმჯდომარე ხსნის კამათს.

გ. სადარიძე. კრების ყურადღებას აქცევს სარევიზიო კომისიის ერთ ერთს შენიშვნას სასკოლო სექციის მოქმედების შესახებ. სასკოლო სექციას ნავარაუდევი ჰქონდა 500 მანეთი მასწავლებელთა კრების მოსაწყობად, მაგრამ ეს ფული ~~სექციას~~ მან არ დაუხარჯავს. ორატორის აზრით, კრების გამართვა აუცილებელი საჭირო იყო.

დ. გ. ბოცვაძე. /სასკოლო სექციის თავმჯდომარე/ სარევიზიო კომისიის შენიშვნა უსაფუძვლოა. როდესაც ის შენიშვნებს აკეთებდა, კარგად უნდა გაეთვალისწინებინა ომის მიერ გამოწვეული არა ჩვეულებრივი პირობები. მასწავლებელთა კრების გამართვა გვინდოდა აგვისტოში, კიდევაც შემუშავებული გვქონდა წინასწარი გეგმაც, მაგრამ, მოგეხსენებათ, ივლისში ომი გამოცხადდა და შეუძლებელი გახდა დანიშნულ თვეში კრების მოწვევა, ამიტომ სასკოლო სექციამ თავის დადგენილების სისრულეში მოყვანა განიზრახა შობის დღესასწაულებზე - დეკემბერში, მაგრამ ისიც კარგად მოგეხსენებათ, თუ რა საშინელი ამბები დატრიალდა ამ დროს თბილისში,

დაშინებული ხალხი თბილისიდან იხიზნებოდა, ამ დროს ჩვენს ძვირფასს საუნჯეებსაც ყუთებში ვალაგებდით გადასამალავად, და, რა გასაკვირალია, თუ კრების მოწვევა ვერც დეკემბერში მოხერხდა და ამ დანიშნულებისათვის გადადებული თანხა 500 მანეთი ვერ დაიხარჯა. სექციას კი სურდა ყრილობა ნორმალურ პირობებში მომხდარიყო, რომ გაწეულს ხარჯს სასურველი ნაყოფიც გამოეღო. 300 მანეთიდან, რომელიც გადადებული იყო სხვა და სხვა კერძო პირთა და გარეშე სკოლათათვის დასახმარებლად დაიხარჯა 68 მ. 07 კაპ. სწორედ იმდენი, რამდენიც მოთხოვნილება იყო, და, თუ ამაზე მეტი მოთხოვნილება არ იყო, ამაში სექციას ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც არ შეუძლიან სხვა უწყების სკოლებში იაროს და მათი საჭიროება გამოარკვიოს.

სკოლების გასაუმჯობესებლად - აქ იგულისხმება სკოლებისათვის ხელსაწყო ნივთების შეძენა, გადადებულ 1000 მანეთიდან სექციამ დახარჯა 410 მ., სწორედ იმდენი, რამდენის დახარჯვის ნებაც ჰქონდა მას, არსებული ხარჯთ-აღრიცხვით ნახევარი წლის განმავლობაში ე. ი. იანვრიდან ივნისამდე. დანარჩენი თანხა უნდა დაეხარჯა წლის ბოლომდე, მაგრამ ხელსაწყო ნივთების შოვნა, ისე, როგორც ყველა ნივთებისა, საზოგადოდ, შეუძლებელი გახდა თბილისში ომის გამოცხადების შემდეგ, და სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ მთელი თანხა არ დაიხარჯა. სკოლების შენობების ასაგებად და ძველი შენობების შესაკეთებლად გადადებული ფულიც ვერ დაიხარჯა. ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ომის შემდეგ მუშა ხელი გაძვირდა, მასალის ფასმა აიწია და საქმე რომ დაგვეწყო ნავარაუდევი ფული არც კი გვეყოფოდა.

სარევიზიო კომისია ბრძანებს, რომ სექციას თავისი პირდაპირი მოვალეობის გარდა მთელი გამომცემლობაც სახელმძღვანელოებისა თვით უწარმოებიათ და რომ ეს მის მოქმედების დადებით მხარეს არ შეადგენს. ნამდვილად კი სექციას დავალებული აქვს გამგეობის მიერ სახელმძღვანელოების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, როგორც შინაარსის, ისე ტეხნიკის მხრით. წიგნების გამომცემელი სექციის ხარჯთ-აღრიცხვაში სრულიად არ შედის ამ სახელმძღვანელოების ბეჭდვის ხარჯი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნების ანგარიში (დედა ენა, ბუნების კარი და P. C. I და II ნაწ.) განსვენებულის ანდერძის ძალით ცალკე, გამოყოფილად, უნდა იბეჭდებოდეს წლიურს ანგარიშში...; სასკოლო სექცია დღემდე პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას: ზრუნავს ამ სახელმძღვანელო წიგნების გაუმჯობესებაზე და თავის დროზე მათ გამოცემაზე.

სარევიზიო კომისია ერთის მხრივ იმას უსაყვედურებს გამგეობას, რატომ გახსენით ახალი სკოლები იმ დროს, როცა არსებული სკოლები თხოულობენ გაუმჯობესობას, მეორეს მხრით კი ამ საყვედურისავე საწინააღმდეგოთ შენიშნავს; „გამგეობას საჭირო ზომები არ მიუღია ქობულეთში სკოლის გასახს-

ნელადო... თუ არსებული სკოლების გაუმჯობესებაზე უნდა გვეზრუნა, რაღად გვისაყვედურებთ, რომ ქობულეთში სკოლა ვერ გავხსენით. ქობულეთში სკოლის გახსნა გვინდოდა, შეამდგომლობაც აღძრული იყო, მაგრამ როგორც გამგეობის განმარტებაშია მოთავსებული, დირექციის მხრით 1934 დაბრკოლება გადაეღობა წინ.

ა. ღულაძის აზრით, ბ-ნ მოცვაძის მიერ ჩამოთვლილი მიზეზები საკმარისი არაა სასკოლო სექციის მოქმედების გასამართლებლად, მართალია, ომი გამოცხადდა, მაგრამ ამით ცხოვრება არ შეჩერებულა. ცხოვრება მიმდინარეობს და ჩვენც, რაც საჭირო იყო უნდა დაგვეხარჯა. მასწავლებელთა კრების მოწვევა საჭირო იყო. რატომ მაისში არ მოიწვიეთ მასწავლებელთა ყრილობა? თუმც მასალა შენობის შესაკეთებლად საკმაოდ გაძვირდა, მაგრამ რადგან სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა შენობაც უნდა შეგვეკეთებინათ, თუ ორი და სამი სკოლისა არა, ერთის სკოლისა მაინც.

ჩემის მხრივ სასკოლო სექციას მადლობას ვერ ვეტყვი, რომ მას წლის განმავლობაში უწარმოებია სახელმძღვანელო წიგნების გამომცემლობის საქმე.

თავმჯდომარე: სახელმძღვანელო წიგნების გამოცემის საქმე გამგეობამ დროებით სასკოლო სექციას დაავალა. ეს დავალება, რა თქმა უნდა, გამოწვეული იყო საქმის საჭიროებით. სექციათა ფუნქციებზე ბჭობა იქნება ცალკე, როდესაც მოისმენთ მოხსენებას სექციათა ინსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ი. ნაკაშიძე. სასკოლო სექციასა და წიგნების გამომცემელი სექციათა შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ერთს სექციას მეორე სექციაში უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი და ესენი ერთი მეორესთან შეთანხმებით მუშაობდნენ. სასკოლო სექციას არაფერი დაუშავებია მით, რომ გოგებაშვილის წიგნები გამოუცია.

თავმჯდომარე აჩერებს ორატორს და მოაგონებს, რომ ამის შესახებ ბჭობა იქნება ინსტრუქციის განხილვის დროს.

შ. ქარუმიძე. როგორც ბ-ნი მოცვაძის განმარტებიდან გამოირკვა, ჩვენი სექცია აკმაყოფილებს მხოლოდ იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც თვით მასწავლებელნი წამოაყენებენ. ჩვენი სკოლების მასწავლებელნი ამ მხრივ ხელმძღვანელობას საჭიროებენ. სასკოლო სექციამ სკოლის მეთვალყურის საშვალებით აღრევე უნდა გაითვალისწინოს, რომელ სკოლას რა ესაჭიროება და ამის მიხედვით დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ 300 მანეთი გადადებული იყო გარეშე და არა ჩვენი სკოლების დასახმარებლად.

გ. ბურჭულაძე. სკოლებისათვის შენობები უნდა აგებულიყო ზაფხულის თვეებში. ზაფხულში კი ომი გამოცხადდა და ამ გარემოებამ შეუშალა საქმეს ხელი. აპრილში და მაისში არც შენობების კეთება შეიძლებოდა და არც მასწავ

ლებელთა ყრილობის მოწვევა, რადგან იმ დროს სკოლებში სწავლა სწარმოებს.

თავმჯდომარე ეკითხება კრებას, სურს თუ არა კიდევ ვინმეს რამე ბრძანოს ანგარიშის შესახებ.

შ. მიქელაძე. ანგარიშის თითქმის მესამედი წარსული წლის საზოგადო კრების ოქმებს უჭირავს. მე მგონია, სრულიად საკმარისი და დამაკმაყოფილებელი იქნება, რომ ანგარიშში იბეჭდებოდეს მხოლოდ კრების დადგენილებანი.

კრება 1914 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიშს ერთხმად და უცვლელად ამტკიცებს. ამასთან ადგენს: წლიურს ანგარიშებში იბეჭდებოდეს მხოლოდ საზოგადო კრებებზე გამოტანილი რეზოლიუციები.

თავმჯდომარე აყენებს კრების განსახილველად მორიგ საკითხს საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ.

მღვდელი ვ. ბურჯანაძე კითხულობს გამგეობის მოკლე მოხსენებას ამ საკითხის გამო. ა. ლულაძე

ა. ლულაძე ემხრობა გამგეობის მოხსენებას საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე შემცირების შესახებ, მხოლოდ საჭიროდა სთვლის მუდმივ წევრთათვისაც შემცირდეს გადასახადი 20 მანეთამდე.

დ. გ. კარიჭაშვილი გამგეობის სახელით აცხადებს, რომ ისიც თანახმაა დაწესდეს მუდმივ წევრთათვის 20 მანეთი.

გ. ბურჭულაძის აზრით უმჯობესი და სამართლიანი იქნება საწევრო გადასახადი თბილისში დარჩეს ისევ სამი მანეთი, ხოლო სოფლებში კი, სადაც უფრო ხელმოკლე ხალხი სცხოვრობს შედარებით, დაწესდეს ერთი მანეთი. საწევრო გადასახადის შემცირება, ეჭვი არ უნდა, შემოსავალსაც შეამცირებს. ეს თვით გამგეობამ აღიარა და ამიტომაც, 1916 წლის აღრიცხვაში შეიტანა 500 მანეთი, იმ დროს როდესაც 1915 წლის აღრიცხვაში შეტანილი ~~იყო~~ ორჯერ მეტი.

შ. ქარუმიძე. ჩვენი საზოგადოების ისტორია გვიმტკიცებს, რომ შემცირდება საწევრო გადასახადი, იმდენად მატულობს შემოსავალიც. ამიტომ არავითარი შიში არ მოელის მას საწევრო გადასახადის შემცირებით.

ვ. გელეიშვილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთს დიდს საზოგადოებას, როგორიც არის წ. კ. გ. საზოგადოება 3000 წევრზე მეტი არა ჰყავს. ეროვნულ დაწესებულებას კი ვუწოდებთ, ნუ თუ 3000 კაცისგან შესდგება ქართველი ერი? და თუ 3000 მეტი არა ჰყავს ამ დიდს ეროვნულს საზოგადოებას, ეს იმის ბრალია, რომ ხალხის წინაამდეგ მუდამ ჩინურ კედლებს აშენებდნენ, არ უშვებდნენ ამ დაწესებულებაში მასსას და არ აძლევდნენ მას საშვალებას მიეღო მონაწილეობა განათლების გავრცელების საქმეში.

თ. კიკვაძე./ გამგ. წევრი/ წ. კ. გ. საზოგადოების შემოსავლის უმთავ

რესი წყარო საწევრო გადასახადი არ არის. უმთავრესი შემოსავლის წყაროები არის: შემოწირულება, დახმარება, თანხების სარგებელი. ჩვენი ინტერესია წევრთა რიცხვმა იმატოს. ეს უეჭველად მოხდება. სოფლის ხალხში შეგნება შევა. მონაწილეობას მიიღებენ ისინიც, ვინც დღეს ხელმოკლეობის გამო ვერ ღებულობს მონაწილეობას. 3000 წევრის ნაცვლად 3 - 4 წლის შემდეგ 15000 წევრზე მეტი გვეყოლება. ბ-ნი ბურჭულაძის აზრი შემოსავალი იკლებსო საფუძველს მოკლებულია. საწევრო გადასახადით შემოსული ფული ძლივს შეადგენს 3%-ს, [illegible].

გ. ლასხიშვილი. საკითხი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ არ ახალია, ძველია, და, ვფიქრობ, დღეს ამის შესახებ ბევრი სჯა-კამათი არ დაგვჭირდება. არც მე ვიტყოდი არაფერს, მაგრამ ზოგიერთი ორატორის სიტყვა მაიძულებს მცირეოდენი განმარტებით გავაშუქო ეს საკამათო საკითხი. აქ ძლიერ ცალმხრივათ ეხებიან საკითხს. ბ-ნი გელეიშვილი, მაგალითად, ამტკიცებს, ვითომ საწევრო გადასახადის წინააღმდეგ აქამდე მიტომ ვიყავით, რომ არ გვინდოდა ხალხი შეგვეშვა საზოგადოებაში, ვითომ განზრახ ალვმართეთ ჩინეთის კედლები და სხვა. ეს სრულებით სიმართლეს მოკლებულია. სიგიჟე იქნებოდა ჩემის მხრივ არ გვსურვებოდა საზოგადოების ზრდა, გაფართოება, მასსის შემოყვანა და მისი მონაწილეობით და მასთან მუშაობა. პრინციპიალურად ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით საწევრო გადასახადის შემცირებისა, არ ვუჭერდით მხარს მხოლოდ იმიტომ, რომ შემცირების შედეგებს ვუწევდით ანგარიშს. საზოგადოების გაფართოება, საზოგადოებაში მასსის შემოსვლით უთუოდ მოითხოვს წესდების შეცვლას. შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობა, თუ საზოგადოების კრებას 1000 კაცი დაესწრო. ეჭვი არ უნდა, მრავალ წევრთა შემოშვება მოითხოვდა საზოგადო კრილობათა ორგანიზაციის შეცვლას - წარმომადგენლობით სისტემით. საჭირო იყო განყოფილებათაგანაც მონაწილეობის მიღებაც. ერთი სიტყვით, საწევრო გადასახადის შემცირება მოითხოვდა წესდების დანარჩენ მუხლების გადასინჯვასაც და ახალ პირობებთან შეფარდებით მის შეცვლას. ეს კი იმ ხანებში შეუძლებლად მიგვაჩნდა. გვეშინოდა განსაკუთრებული ყურადღება არ მიგვექცევინებინა ჩვენს საზოგადოებისათვის და სახიფათო მდგომარეობაში არ ჩაგვეგდო. ეხლა ვფიქრობთ, რომ რეფორმების მოხდენისათვის შესაფერისი დროა და გამგეობა მომავალი წლისთვის წარმოგიდგენთ წესდების შეცვლის პროექტს, მანამდის კი შესაძლებელია იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც განზრახულია თქვენ მიერ მოსმენილ მოხსენებით.

ი. ნაკაშიძე. მე სიამოვნებით მივეგებე ამ ცვლილებას. ჩვენ პროვინციებში, სადაც საერობო, ან სხვა რამ ამგვარი ორგანო, რომელიც თაოსნობას გაუწევდა სოფლელ გლეხს, არ არსებობს და, ეჭვი არ უნდა, საწევრო გადასახა-

-ლის მანეთამდე შემცირება წევრთა რიცხვს გაზრდის, აამოძრავებს მალებს. ეროვნული საქმიანობა სწრაფის ნაბიჯით წავა წინ.

გ. იმნაიშვილი. წინადადებას იძლევა, რომ მანეთიან წევრს მიეცეს ერთი მესამედი ხმის უფლება.

თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად გამოაცხადა და კრებისავე სურვილის თანახმად ხმის ჩამოტარებით კენჭი უყარა გამგეობის წინადადებას საწევრო გადასახადის I მანეთამდე შემცირების შესახებ. კრებამ 86 ხმით 6 წინააღმდეგ დაადგინა:

"არსებული საწევრო გადასახადის რაოდენობა შემცირებულ იქმნას ერთ მანეთამდე. ამის მიხედვით წესდების IO მუხლი შეიცვალოს შემდეგის რედაქციით: "ნამდვილ წევრად ითვლება, ვინც განაცხადებს სურვილს საზოგადოების სასარგებლოდ ყოველ წლით შემოიტანოს I მანეთზე არა ნაკლები, ანუ ერთდროებით 20 მანეთზე არა ნაკლები, და ვინც არჩეული იქნება ამ წოდებისათვის საზოგადო კრების მიერ დამფუძნებელის ან ორის ნამდვილის წევრის წინადადების თანახმად".

თავმჯდომარე. ბ-ნებო! კრება უკვე მრავალ რიცხოვანია და, ჩემის აზრით, ჩვენი გადაწყვეტილება დეპუტაციის არჩევის შესახებ სისრულეში უნდა მოვიყვანოთ. გთხოვთ დაასახელოთ დეპუტაციის წევრები.

დეპუტაციაში ასახელებენ: საზ. საპატიო წევრს ანასტ. წერეთლისას, გუბერნიის მარშალს დ. ე. ჩოლოყაშვილს, დ. გ. კარიჭაშვილს, თ-დ იოს. ბარათაშვილს, არსენ მამულაიშვილს, დეკ. ნ. თალაქვაძეს, პ. გელეიშვილს პ. კიზირიას და გ. გვაზავას. ევალებს ხსენებულ პირთაგან შემდგარს დეპუტაციას კრების გათავების შემდეგ წარუდგეს გ. ნ. ყაზბეგს და სთხოვოს ვალავ დარჩეს საზოგადოების თავმჯდომარედ.

თავმჯდომარე იწვევს კრებას მორიგი საკითხის მოსასმენად წიგნთ-საცავ-მუზეუმის შესახებ.

გ. ცანცაძე /გამგ. წევრი/ კითხულობს გამგეობის ვრცელ მოხსენებას მუზეუმის შესახებ.

გ. ლასხიშვილი /გამგ. წევრი/ ბ-ბო! გამგეობის წევრმა გ. ცინცაძემ მოგახსენათ წინადადება წ. კ. გ. საზოგადოებისა ერთი მხრით და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსი მეორეს მხრით მუზეუმთა შეერთების პირობების შესახებ. ჩვენი წინადადება ასეთია; უნდა გვქონდეს ერთი მუზეუმი, რომელსაც დაერქმევა "ქართული მუზეუმი" ორივე მუზეუმის მართვა-გამგებლობა უნდა შეერთდეს ორგანიულად. კატალოგში აღინიშნება, რომელი ნივთი რომელ საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს. შეერთებული მუზეუმის მართვა-გამგებლობა უნდა წაბარდეს ერთს ორგანოს, შემდგარს ექვს პირისაგან. ამ ორგანოში სამი წარმომადგენელი იქნება ჩვენი,

ხოლო სამი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. ეს ორგანო აირჩევს მუზეუმის გამგეს, და სხვა თანამდებობის პირთ, ყურს უგდებს მათ მოქმედებას, ზრუნავს მუზეუმის განვითარებისათვის, გამოარკვევს მისთვის წესებს და ყოველსავე თავის მოსაზრებას მოახსენებს ორთავე საზოგადოებათა აღმასრულებელ ორგანოს.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირობები კი ასეთია: იგი იბარებს ჩვენგან მოსავლელად, შესანახად და შესასწავლად ყოველგვარს სამუზეუმო ნივთს. ჩაბარებული ნივთები აღნუსხული იქნება ცალკე კატალოგებში. თანხა, რომელსაც გამგეობა ღებულობს თავად-აზნაურობისაგან, მუზეუმისათვის გადაეცემა საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოებას. მობარებულს ქონებას განაგებს საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოება. ჩვენგან იქნება სამი წარმომადგენელი. ამ სამს პირს უფლება ექნებათ, უკეთუ მობარებული ქონების შესახებ თანახმანი არ იქნებიან საბჭოს რომელისამე დადგენილებისა, აღძრან კითხვა წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობაში და საცილობელ კითხვებს გადასწყვეტს ორთავე საზოგადოებათა გამგეობისა და საბჭოს შეერთებული კრება. ასეთი პირობები საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოებამ წარმოადგინა I9II წელსაც. I9I2 წლის საზოგადო კრებამ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის მოხსენება დაადასტურა. ჩვენი საზოგადოების გამგეობა დღესაც ამ საზოგადო კრების რეზოლიუციას ემორჩილება.

წიგნთ-საცავ-მუზეუმი წარმოადგენს დიდს და ძვირფასს ერთნულ-კულტურულ განძს და ასეთი განძის გადაცემა საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოების განკარგულებაში, ჩვენ არ შეგვიძლია იმ პირობებში, რომელთაც აყენებს საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოება. ჩვენ გვაქვს თანხა, შეგვიძლია ამ თანხით შესაფერი საკუთარი შენობა ავაგოთ, და ორთავე მუზეუმი შიგ მოვათავსოთ. მე ვერ გამომირკვევია რით არის დასაწუნებელი წ. კ. გ. საზოგადოების მიერ წამოყენებული შეერთების პირობანი.

შ. ქარუმიძე. წ. კ. გ. საზოგადოება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ წერა-კითხვის გავრცელების საქმეს. ისტორიულ ნაშთთა მოვლა-პატრონობა სრულიად არ შეადგენს მის კითხულს, მას შემდეგ, რაც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა ამ დანიშნულების ასრულება იკისრა ამავე საზოგადოებამ, და ეჭვი არ უნდა, წ. კ. გ. საზოგადოების მუზეუმიც მას უნდა გადაეცეს თანახმად წამოყენებული პირობებისა. საისტორიო საზოგადოებამ ხალხის ნდობა უკვე დაიმსახურა, ხალხში უკვე გადავიდა ეს საკითხი და დღეს თუ არა, ხვალ, იგი დადებითად გადაწყდება.. ი. მუზეუმი გადაეცემა ნამდვილ მის ღირსეულ პატრონს -სპეციალ ორგანოს და სანამ ეს თავის თავად მოხდებოდეს, ეხლავე გადავცეთ წ. კ. გ. საზოგადოების მუზეუმი საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოების საბჭოს.

ა. ღულაძე. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ წამოყენებულ პირობებს წარმომადგენლობითი წესით მუზეუმის მართვა-გამგებლობის საქმის მოწესრიგებას შეუძლებლად სთვლის, და მომხრეა მუზეუმი გადაეცეს სპეციალ ორგანოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ი. რატიშვილი. წ. კ. გ. საზოგადოებას უნდა ჩამოშორდეს ზედმეტი ტვირთი. დეე მან იზრუნოს მხოლოდ სკოლების გახსნაზე, მათ მოწყობაზე და სპეციალურს საზოგადოებას კი გადაეცეს ის საქმე, რომელიც ნამდვილად მის კითხულს შეადგენს. რაც ადრე მოხდება ეს გადაცემა, მით უფრო კარგი იქნება საზოგადო საქმისათვის.

ილია ნაკაშიძის აზრით უმჯობესია მუზეუმი დარჩეს ისევ წ. კ. გ. საზოგადოებას იმიტომ, რომ ~~უფრო~~ "ძველი" საზოგადოებაა, მით უფრო კარგად მოუვლის თავის მეირფასს საგანძურს. წ. კ. გ. საზოგადოება ძლიერი ორგანოა, სახელ მოხვეჭილი, დაწესებულება, ~~და~~ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება კი ჯერ ნორჩი დაწესებულებაა და, ეჭვი არ უნდა, ამ საზოგადოებისათვის უფრო ძნელი იქნება მუზეუმის მართვა-გამგებლობა. საერთო ეროვნული საქმე უნდა იყვეს ერთს ვრცელს საზოგადოების ხელში.

ბ. გელეიშვილი. ტარდიციულად ჩვენ ქართველებს ერთი სენი გვჭირს, ყოველ პასუხისსაგებ საქმეს მივანდობთ ხოლმე ერთსა და იმავე პირს. შეიძლება წინად ეს საჭირო იყო, რადგან შრომის განაწილების პრინციპს ბაზარი არ ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ დღეს კი ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ასეთი სენისაგან უნდა განიკურნოს წ. კ. გ. საზოგადოება, რომელსაც გვერდით დაუარსდა სპეციალური დაწესებულება-საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოება; პილოს და წიგნთ-საცავ-მუზეუმი გადასცეს ამ სპეციალურ ორგანოს, თვითონ კი მთელი თავისი ძალ-ღონე მოანდომოს სკოლების და ბიბლიოთეკების გაუმჯობესების საქმეს, ~~და~~ ამით შეასრულოს თავისი პირდაპირი დანიშნულება

გრ. რცხილაძე. საკითხი მუზეუმის შეერთების პირობათა შესახებ ძველია და მას თავისი გრძელი ისტორია აქვს. საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოების საბჭო ყოველთვის წინააღმდეგი იყო მიელო ჩვენი შეერთების პირობები. ჩვენი პირობები თქვენ უკვე მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოების და საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების თავიანთ წარმომადგენლების სახით და საშვალებით განაგებენ შეერთებით მუზეუმის საქმეს თანასწორი ხმის უფლებით და საქმეში აქტიურ მონაწილეობის მიღებით. ეს პროექტი არის პროექტი მუზეუმთა შეერთებისა და არა მათი დაქსაქსვისა-დანაწილებისა. ზოგიერთნი რაღაც განგებ აძნელებენ საქმეს და სწორედ ვერ აფუქებენ მას - რაც არის გათვალისწინებული ჩვენ მიერ წამოყენებულ პროექტში.. პირიქით, საისტორიო და საეთნ. საზოგადოების საბჭო არა შეერთების, არამედ გათიშვის პირობებს გვიყენებს. აი რას ამბობს მათის წინადადების 4 მუხლი: "მთელს მობარებულს ქონებას

წ. კ. გ. საზოგადოებისას განაგებს საისტ. და საეთნ. საზოგადოების საბ-ჭო წერა-კითხვის საზოგადოების სამი წარმომადგენლის თანადასწრებით /სრული ხმის უფლებით/ ამ სამს პირს უფლება ექნებათ, უკეთუ მობარებული ქონების შესახებ თანახმანი არ იქნებიან საბჭოს რომელისამე დადგენილე-ბისა, აღძრან კითხვა წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობაში და საცილობელ კითხვების გადასაწყვეტად ორთავე საზოგადოების გამგეობისა და საბჭოს შეერთებული კრება" როგორც ხედავთ, ხსენებული საზოგადოების საბჭოს ხმის უფლებას გვაძლევს მარტო ჩვენ მიერ მიბარებულ ნივთების შესახებ, სადაო საკითხად უნდა გადაიქცეს რომელი ნივთი რომელ ადგილას უნდა მოთავსდეს. განა ეს არის მთლიანი პროექტი ორთავე მუზეუმთა შეერთებისა? სად არის აქ ქართული მუზეუმის დიადი ძალა, რომელზედაც მიგვითითებს ბ-ნი ქარუ-მიძე და სხვები? რატომ უნდა იყვეს გამოთიშული წ. კ. გ. საზოგადოება ამ საერთო ეროვნულ საქმის მართვა-გამგებლობიდან იმ დროს, როდესაც მის ხელში საკმაო სამუზეუმო თანხა არის, მას აქვს საუკეთესოდ მოწყობილი ბიბლიოთეკა და მუზეუმი...სპეციალისტნი უნდა იყვნენ მუზეუმის გამგე და არა ის პირნი, რომელნიც ირჩევენ მუზეუმის გამგეს და სრულიად არ არიან აქ საჭირო სპეციალისტები, რომ მუზეუმის მართვა-გამგებლობის საქმე რი-გიანად წავიდეს.

დ. ხართიშვილი აყენებს შემდეგ კონკრეტულ წინადადებას მუზეუმის შე-ერთების შესახებ: აღძრულ კითხვას რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბო-ლო, წ. კ. გ. საზოგადოების 1915 წლის 22 ნოემბრის საზოგადო წლიურ კრებას მიზნის შესაფერისად მიაჩნია მოხდეს მუზეუმთა შეერთება, რომელს-საც დაერქმევა "ქართული მუზეუმი", ხოლო მის მართველ გამგეობასა და რე-ვიზორებს ირჩევს წ. კ. გ. საზ.დაოსტაისტ. და საეთნ. საზოგადოების წევ-რთა შეერთებული კრება. ასე არჩეული გამგეობა და სარევიზიო კომისია პა-სუხს აგებენ და ანგარიშს აძლევენ შეერთებულს კრებებს მხოლოდ. "

ბ. ლასხიშვილი. მე ასე დავიწყე ჩემი სიტყვა, რომ ჩვენ ქართველებს უნდა გვქონდეს ერთი ქართული მუზეუმი, არსებული მუზეუმები აუცილებლად უნდა შეერთდეს, ხოლო ამ მუზეუმს უნდა განაგებდეს ორთავე საზოგადოების მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო. ორი საზოგადოება უფრო შესძლებს მუზეუმის გაძღოლას და, ეჭვი არ უნდა, საქმეც კარგად წავა. ჩემთვის გაუ-გებარია საისტორიო და სათენ. საზოგადოების უარი ჩვენს წინადადებაზე.

სამს. ფირცხალავა. წ. კ. გ. საზოგადოების მუზეუმი ძვირფასი საგან-ძურია მთელი ქართველი ერისათვის. იქ მუზეუმი კი არა უფრო ძვირფასია წიგნთ-საცავი, ყოველი შეგნებული ქართველისათვის ძვირფასი საუნჯე. მინაყარ-მონაყარ ნივთებს კი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, მუზეუმში ად-გილი არ აქვს. რატომ საისტ. და საეთნგ. საზოგადოებას უნდა ჩაბარდეს ეს წიგნთ-საცავი, როდესაც საისტორიო და საეთნგრ. საზოგადოების სპეცია-ლურ დანიშნულებას შეადგენს მხოლოდ ისტორიული ნაშთების შეგროვება და

თუ ეს საზოგადოება ~~არ~~ შეიძლება ამავე სახელწოდებით მოვნათლოთ ე. ი. მას ამ დარგში ვუწოდოთ სპეციალისტები. ორატორის აზრით წიგნთ-საცავ-მუზეუმი უნდა დარჩეს ისევ წ. კ. გ. საზოგადოების ხელში და ~~დასძენს~~, ქართველ ერს არ გააჩნია შესაფერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ~~და~~ მანამ შეძლებელია მოხდეს მუზეუმთა შეერთება.

სპირ. კედია. მომხრეა წ. კ. გ. საზოგადოების მუზეუმი გადაეცეს საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოებას მოსავლელად და შესანახად. წ. კ. გ. საზოგადოებას, ორატორის აზრით, წესდებით დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული, იგი უნდა გაუძღვეს სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ემსახუროს განათლების საქმეს და ბევრად შეუმსუბუქებს მას ~~მას~~ საქმეს მუზეუმის თავიდან მოშორება, რომელიც ეჭვი არ უნდა ბევრს დროს, ენერგიას და ხარჯს თხოულობს.

შ. მესხიშვილის აზრით, არც ერთი საზოგადოების მიერ წამოყენებული შეერთების პირობები მოსაწონი არ არის. მუზეუმის გადაცემა კი უნდა მოხდეს, რადგან, ეჭვი არ უნდა, საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოება, როგორც ასე თუ ისე სპეციალური ორგანო უფრო კარგად გაუძღვება საქმეს.

ვ. ლამბაშიძის აზრით შეუძლებელია მუზეუმის გადაცემა საისტორიო და საეთნოგრ. საზოგადოების განკარგულებაში. შარშან, დეკემბრის პირველ რიცხვებში, როდესაც საშინელმა შიშის ზარმა მოიცვა მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი და თვითეული წევრი საზოგადოებისა იხიზნებოდა თბილისიდან და და წესებულებანიც თავიანთ საგანძურს დასამალავად ეზიდებოდნენ, ჩვენი საისტორიო და საეთნ. საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი თაყაიშვილი წინადადებას იძლეოდა მუზეუმი გადაგვეტანა რუსეთში. ვერ დავარწმუნეთ, ვერც მე და ვერც ~~ყოველად უსამღვდელოესობამ~~, რომ ეს შეუძლებელი იყო. რა იქნებოდა, რომ იმ დროს ჩვენი წ. კ. გ. საზოგადოების მუზეუმიც ყოფილიყო საისტ. და სეთნოგრ. საზოგადოების განკარგულებაში. ორატორის აზრით, ვიდრე ომი გათავდებოდეს, საკითხი მუზეუმების და წიგნთ-საცავის შეერთების შესახებ გადაიდოს ნორმალურ პირობების დამყარებამდე.

დეკ. ნიკ. თალაქვაძე აღნიშნავს თუ რა სულიერ სიმშილს განიცდიან საქართველოს სხვა და სხვა ნაწილები სახელდ. ფშავეთი, ხევსურეთი, საინგილო და დუშეთის მაზრა. ორატორის აზრით, უკეთესია წ. კ. გ. საზოგადოებამ ამ მივარდნილ ადგილებს მიაქციოს ყურადღება, გახსნას იქ სკოლები, შეიტანოს სინათლე და ზედ მეტი ბარგი- მუზეუმის მოვლა-პატრონობა თავიდან მოიშოროს და გადასცეს სპეციალურ ორგანოს-საისტორიო და სათენ. საზოგადოებას, რომელსაც ძალა შესწევს მის მოსავლელად.

სამ. დადიანი წინააღმდეგია მუზეუმის გადაცემისა. ორატორი ამბობს, რომ ჩვენ სპეციალისტები არა გვყავს და ზედ-მეტია ლაპარაკი იმის შესა-

ხებ, რომ არა სპეციალისტებმა არა სპეციალისტებს გადასცენ მუზეუმის მოვლა-პატრონობა.

ლ. ბოცვაძე. წ. კ. გ. საზოგადოებას აქვს სკოლები, ბიბლიოთეკები. სკოლებისთვის, ვინ არ იცის, რომ საჭიროა ხელსაწყო თვალსაჩინო ნივთები სხვა და სხვა ხამეცნიერო დარგებიდან, ისტორიული სურათები და სხვა. აი ამით შეუძლიანთ ისარგებლონ მოწაფეებმა და ამ მხრივ საზოგადოება ასრულებს თავის მიზანს. ჩვენი მუზეუმი, მაშასადამე, შეიძლება საერთო ხასიათის დაკმაყოფილების დროს ასრულებდესპედაგოგიური მუზეუმის დანიშნულებას.

გ. ცინცაძე. ბ-ნებო! ყველამ კარგად უწყის თუ რა საშინელი ამბავი დატრიალდა წარსული წლის დეკემბერში. არ ვიცოდით, სად წავგველო ჩვენი მუზეუმი. უმჯობესია ვიდრე ეს საშინელი ომი გათავდებოდეს, წ. კ. გ. საზოგადოების და საისტ. საზოგადოების მუზეუმები განცალკევებულად დარჩნენ და საკითხი შეერთების შესახებ გადაიდოს ნორმალურ პირობების დამყარებამდე. გაჭირვების დროს თვითეული საზოგადოება უფრო მოახერხებს უპატრონოს თავის საგანძურს.

სილ. გაბუნიას აზრით საისტორ. და საეთნ. საზოგადოება უნდა შემოვიდეს წ. კ. გ. საზოგადოებაში სამუზეუმო სექციის სახით და ივისროს მუზეუმის მართვა-გამგებლობის საქმე.

თავმჯდომარე საკითხს გამორკვეულად აცხადებს. კრებამ ... ხმის უმეტესობით გამოაქვს შემდეგი დადგენილება: "საკითხი წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიული საზოგადოებათა მუზეუმთა შეერთების შესახებ გადაიდოს ნორმალურ პირობების დამყარებამდე ე. ი. ომის გათავებამდე.

კრება დაიხურა სრულ 4 საათზე. შემდეგი კრება დაინიშნა 29 ნოემბერს დილის II საათზე.

ქ. შ. წ. ვ. გ. საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრებისა
29 ნოემბერს, I915 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა დ. გ. კარიჭაშვილმა დილის II საათსა და 40 წუთზე. დაესწრნენ: საზოგადოების საპატიო წევრი ქ-ნი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, გამგეობის წევრნი: გ. ლასხიშვილი, ლ. ბოცვაძე, ნ. ნაკაშიძე, თ. კიკვაძე, ივ. ვართაგავა, გრ. რცხილაძე, შიო დედაბრიშვილი, გ. ცინცაძე და ვ. კიკალიშვილი და 96 საზოგადოების ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს 22 ნოემბრის საზოგადო კრების ოქმს. კრება ოქმს უცვლელად ამტკიცებს.

თავმჯდომარე. ბ-ბო! წინანდელ კრების მიერ არჩეული საგანგებო დეპუტაცია იყო გ. ნ. ყაზბეგთან. დეპუტაციამ გადასცა ბ-ნს ყაზბეგს საზოგადო კრების თხოვნა უკან წაელო თავისი განცხადება და კვლავაც დარჩენილიყო თავმჯდომარედ. ბ-მა ყაზბეგმა თანხმობა განაცხადა დარჩეს თავმჯდომარედ და თან დაავალა დეპუტაციას გადასცეს საზოგადო კრებას მადლობა ხელახლა ნდობის გამოცხადებისათვის.

ბ-ნი ყაზბეგის თანხმობას კრება ტაშის ცემით შეეგება.

თავმჯდომარე აყენებს მორიგ საკითხს განყოფილებათა ინსტრუქციის მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ.

მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს გამგეობის მოხსენებას ამ საგნის გამო. მოხსენების თანახმად არსებული ინსტრუქციის მე-4 § უნდა შეიცვალოს შემდეგის რედაქციით: საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ჰკრეფს და ხარჯავს, როგორც საწევრო ფულს, ისე სხვა გვარს შემოსავალს საზოგადო წესით, ხოლო გამოჰყოფს თავის წლიური შემოსავლიდან I0%, რომელსაც გაუგზავნის საზოგადოების გამგეობის კასას საერთო ხარჯების დასაფარავად.

სვ. კედიას აზრით, ვინაიდან საზოგადოების ფილიალ განყოფილებებს ადგილობრივი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მრავალი სხვა და სხვა ხარჯები აქვთ დასაფარავი, უმჯობესი და უფრო სამართლიანი იქნება საპროცენტო გადასახადი გამოყოფილ იქმნას არა საერთო შემოსავლიდან, არამედ ნაშთიდან. პროცენტების რაოდენობა თუნდა იმდენივე დარჩეს, რამდენიც ამყამად არის.

ვ. ბურჯანაძე, მთავარ გამგეობასა და განყოფილებათა შორის უფრო მეტი კავშირის დასამყარებლად საჭიროდ სთვლის საპროცენტო გადასახადი საზოგადო შემოსავლიდან ხდებოდეს I0%-ის ვარაუდით, ისე, როგორც ეს გამგეობის მოხსენებაშია აღნიშნული; ნაშთიდან %-ის გამოყოფა საგრძნობლად შეასუს-

ცებს საზოგადოების ბიუჯეტს, რაც ეჭვი არ უნდა, გავლენას იქონიებს ან
თო საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეზე.

მიხ. გედევანიშვილი: როგორც წაკითხული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ
ყოფილებათა უმრავლეს ნაწილს თითქმის დაარსების დღიდან არც ერთი კაპ
არ გადაუხდიათ საზოგადოების სასარგებლოდ, და ზოგიერთ შემდეგში განყ
ფილებებს უფრო ნაკლები შემოუტანიათ, ან სრულიად არავერი შემოუტანი
უფრო მცირე შემოსავლიანთ კი ვალდებულება შეუსრულებიათ. ასე, რომ აქ
ლებაზე კი არ არის დამოკიდებული საქმე, არამედ იმ ზნეობრივ მოვალე
შეგნებაზე, რომელსაც მოკლებულნი არიან ჩვენი ფილიალური განყოფილებ
ამისათვის საჭიროა უფრო მკაცრი, გაბედული ზომები იქმნას მიღებული
რი გამგეობის მიერ ახალი განყოფილებების წინააღმდეგ; ორატორის აზრ
აუცილებლად საჭიროა განსაზღვრული გადასახადი უეჭველად დაეკისროთ გ
ყოფილებებს, თუნდა 10%-ის ოდენობით საერთო შემოსავლიდან, რათა მთ
გამგეობას საშუალება ჰქონდეს აუცილებელი საჭიროების დროს ხელი გაუმა
ამა თუ იმ განყოფილებებს და ამით საერთო საქმის ნორმალური მსვლელო
შეაფერხოს.

ბ-ნი ხიზანაშვილის აზრით, გამგეობას უნდა წარმოედგინა კრებისათ
დაწვრილებითი ცნობები თვითეული განყოფილების შემოსავალ-გასავლის შე
ხებ, რის მიხედვით ადვილად შეიძლებოდა გამოგვეცანა დასკვნა საზრუ
გადასახადის დასაწესებლად.

გ. ლასხიშვილი /გამგ. წევრი/ მოხსენების შედგენის დროს გამგეობა
ხელთ ჰქონდა სრული და უტყუარი სტატისტიკური ცნობები განყოფილებათა
მოსავალ-გასავლისა, ამასთან გათვალისწინებულ იქმნა ის მოსაზრებანი,
რომელიც ამჟამად აქ წარმოითქვა და ჯერ-ჯერობით უფრო სამართლიანად
შესაფერისად ვცნანით 10% დაწესება. 5% შემოღება კი გამგეობას ნივთ
შეასუსტებს და ამით წავართმევთ მას საშუალებას დაეხმაროს ნივთიერად
ვიწროებულს და გაჭირებაში ჩავარდნილს განყოფილებებს. საბუთიც ხელთ
გვაქვს: გამგეობამ დახმარება აღმოუჩინა სოხუმის განყოფილებას, რომე
ომით გამოწვეულ მიზეზებისა გამო იძულებული იყო დაეხურა სკოლა; მიმ
რე წლის ივლისამდე ჯამაგირს აძლევდა ბათუმის სკოლის მასწავლებლებს
ამჟამად ბათუმის სკოლას თავის ხარჯით ინახავს. გამგეობა გთხოვთ და
წეროთ მისი მოხსენება 10% დაწესების შესახებ, ხოლო თუ შემდეგში პრ
კამ დაგვანახვა, რომ 10%-ის ნორმად დაწესებაც საქმეს არ შველის, მა
კიდევ წარმოგიდგენთ მოხსენებას 10%-ის ნაცვლად 5% შემოღების შესახე
ჯერ-ჯერობით კი 20%-ის ნაცვლად დაწესებულ იქმნას 10%.

კ. მაღლაშვილი ეთანხმება გამგეობის აზრს 10% დაწესების შესახებ.

სვ. კედია თხოულობს კენჭი ეყაროს მის წინადადებას %% გამოიყოს ნაშ

დან და არა საერთო შემოსავლიდან.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ განყოფილებანი შეადგენენ ნაწილს საზოგადოებისას, მთელის არსებობა ნაყოფიერად მაშინ შეიძლება, როცა შემადგენელნი მთელისა თანაბრად და ჰარმონიულად ხელს შეუწყობენ მთელის არსებობას. ცენტრალურ ორგანოს მფარველობის ქვეშ იმყოფება ფილიალი განყოფილებები; ცენტრალური ორგანო, საჭიროების დროს ეწევა საერთო ხარჯებს თავის შემადგენელთა აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად /სკოლის შენახვა და სხვა/ ეჭვი არ უნდა, ფილიალ განყოფილებებსაც რომ ზნეობრივი ვალდებულების აღსრულების მეტი შეგნება ჰქონდეთ, ისინი საპროცენტო გადასახადს თავის დროზე მიაწვდიდნენ ცენტრალ ორგანოს. ნაშთებიდან 10%-ის გამოყოფა, ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად ხელი ავიღოთ ამ შემოსავლის წყაროზე, ვინაიდან განყოფილებებს ნაშთი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით თითქმის არასოდეს არ რჩებათ და, თუ ცოტა, [illegible] ნაშთი, [illegible] ~~ვიდრევაც რომ დარჩეს, განზრახ აღარ დასტოვებენ, რომ გადასახადი აიცილონ~~. ამისათვის ბ-ნი თავმჯდომარის აზრით, კრებამ უნდა მიიღოს გამგეობის წინადადება 10%-ის დაწესების შესახებ საერთო შემოსავლიდან.

კრებას ამ საგნის შესახებ გამოაქვს შემდეგი დადგენილება:

"20% ნაცვლად დაწესდეს 10% და ამნაირად განყოფილებათა ინსტრუქციის მე-4 მუხლი შეიცვალოს შემდეგის რედაქციით: საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ჰკრეფს და ხარჯავს, როგორც საწევრო ფულს, ისე სხვა გვარს შემოსავალს საზოგადო წესით, ხოლო გამოჰყოფს თავის წლიური შემოსავლიდან 10% რომელსაც გაუგზავნის საზოგადოების გამგეობის კასას საერთო ხარჯების დასაფარავად.

ამასთან უნდა დაევალოს განყოფილებებს ძველი წლების დარჩენილი გადასახადი 10% ვარაუდით წარმოადგინონ 3 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად. რადგან ამ წყაროს საშუალებით შემოსული ფული ხმარდება საზოგადო დანიშნულებას, მოეთხოვოს განყოფილებებს თავ-თავის დროზე შემოიტანონ ხოლმე საპროცენტო გადასახადი, რათა ამით საზოგადოების მთავარ გამგეობას საშუალება მიეცეს დაჰფაროს აუცილებელი ხარჯები სკოლებისა და ბიბლიოთეკების შენახვა, წიგნების გამოცემისა და სხვა."

კრება გადადის მორიგ საკითხზე სექციათა ინსტრუქციაში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ. ამ საგანზე მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს გამგეობის მოხსენებას. ამ მოხსენების თანახმად ინსტრუქციის მე-8 §-ის არსებულ ტექსტში ერთვის ორი სიტყვა: „დასამტკიცებლად" და "დაწვრილებითი მთელი ეს მუხლი იცვლება შემდეგის რედაქციით: „წლის დამლევს, არა უგვიანეს 15 იანვრისა სექცია წარუდგენს გამგეობას განსახილველად და დასამტკიცებლად გასული წლის თავის მოქმედების ანგარიშს და მომავალი წლის თავის მოქმედების დაწვრილებითს გეგმას."

ხოლო მე I3 § -მუხლი "ვ" /სასკოლო სექციის კომპეტენციის შესახ
იცვლება შემდეგის რედაქციით: "თვალყურს ადევნებს პედაგოგიურ ლიტე
ტურას და ირჩევს გამოსაცემად შესაფერს სახელმძღვანელოებს, ან თვი
გენს , და თვითონვე აწარმოებს გამოცემის საქმესაც, ე. ი. თვითონ
ბეჭდავს".

თავმჯდომარე წაკითხულ მოხსენებას ორ ნაწილად ყოფს და სთხოვს კ
ბას ჯერ შეეხოს მხოლოდ პირველს ნაწილს ე. ი. მე-8 §-ის შეცვლას
დეგ მე-I3 §-ის "ვ" მუხლს.

ვ. გვარჯალაძე /საგამომც. სექციის წევრი/ მე წინააღმდეგი არა
ინსტრუქციის მე-8 მუხლის შეცვლისა იმ მხრივ, რომ ჩაემატოს სიტყვა
სამტკიცებლად. დეე ეს ასე იყოს, მაგრამ ეს მუხლი თუ შეიცვლება,
მე-9 მუხლიც უნდა შეიცვალოს, რადგან ამ მუხლის შინაარსი სრულიად
ნააღმდეგება მე-8 § შინაარსს. მე-8 მუხლი ავალებს სექციას უსათუ
რუდგინოს გამგეობას წინასწარი დაწვრილებითი გეგმა განსახილველად
დასამტკიცებლად, მაშასადამე ამით აძლევს გამგეობას სრულს უფლებას
წონოს ან დაიწუნოს წარდგენილი სამოქმედო გეგმა, მე-9 მუხლი კი ან
სექციას სრულს ავტონომიას, იმოქმედოს სრულიად დამოუკიდებლად წიგნ
გამოცემის საქმეში,მხოლოდ არ დახარჯოს იმაზე მეტი, რაც ხარჯთ-აღრ
ხვით აქვს მას მიცემული. ორატორს მოუხერხებლად და საქმისათვის უნ
ფო შრომად მიაჩნია დაწვრილებითი გეგმის შემუშავება და ამ სიტყვის
მატება არსებულ ტექსტში, ხოლო სიტყვა დასამტკიცებლად საქმის დამა
ლებლად და წიგნის გამოცემის შემაფერხებლად, ამისთვის, მისი აზრით
8 მუხლი ან უნდა დარჩეს არსებული რედაქციით, თუ შეიცვლება, უთუოდ
და შეიცვალოს ინსტრუქციის მე-9 §-იც, რათა აშორებულ იქმნას თავიდ
რთა წინააღმდეგობა.

თ. კიკვაძე /გამგ. წევრი/ სექციამ უნდა შეუკვეთოს კერძო პირებ
~~და~~ სხვა სხვა წიგნები, ჰონორარი აღუთქვას, ავტორთაგან მიღებული ხ
ბი ჯერ თვითონ უნდა განიხილოს და თავის დასკვნით გამგეობას წარუდ
შემდეგ გამგეობამ უნდა განიხილოს და, რომ სრული უტყუარი შთაბეჭდილ
მიეღოთ წიგნების მოსაწონებლად, თუ დასაწუნებლად, წარმოდგენილი შრ
რომელნიმე გამგეობის წევრმა მაინც უნდა გადაიკითხოს. ამ გადათვალ
ბა-განხილვას რომელნიმე თვე მოუნდებით და საქმეს შეაფერხებთ. ამ
რებით შეუძლებელია დაწვრილებითი გეგმის შედგენა. სექციას ხელ-ფეხ
უნდა ჰქონდეს შებორკილი. მე თვითონ ცენტრალისტი ვარ, ავტონომიის
ხრე არ გახლავარ, მაგრამ ამ საქმეში რომ სექცია ავტონომიურად უნდ
მედებდეს, ისევ საქმის გულისათვის და საქმის სასარგებლოდ, ეჭვს გ
შეა. მართალია, რომ გამგეობა პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშ

ნის გამოცემის საქმეში, მაგრამ სექციასაც, როგორც საზოგადო კრების მიერ არჩეულს და, მაშასადამე, ნდობით აღჭურვილს, შეუძლია ეკისროს ასეთი პასუხისმგებლობა, ამ მოსაზრებით ინსტრუქციის მე-8 მუხლი უნდა დარჩეს არსებული რედაქციით.

ლ. მოცვაძე (ამ. [illegible]) ~~გამგეობა~~ არის სრული პასუხისმგებელი საზოგადოების წინაშე. სექცია, ~~ეს~~ დამხმარე ორგანოა გამგეობისა. ავტონომიური უფლების მინიჭება ისე, როგორც ესმის სექციას, გამგეობას არ შეუძლიას. მან უნდა იცოდეს რა კეთდება სექციაში და ეს უკანასკნელიც უდგენს ხოლმე მას დაწვრილებით თავის სამოქმედო გეგმას, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს ყველა ის წიგნები, რომელიც განზრახული აქვს გამოსაცემად წლის განმავლობაში. საჭიროა სექციაში იყვნენ მუშაკნი, საქმის მცოდნე პირები და ყველაფერს შეასრულებენ. საქმე ბევრია. ჩვენს სექციას რომ ჰკითხო, მასაც ვერ ვიშოვეთ, მთარგმნელები არ მოიპოვებიან, ზოგმა ქართული არ იცის და სხვა... (ამ. [illegible]) ~~(მთელი წლის განმავლობაში არც ერთი წიგნი არ გამოუციათ, 2000 მანეთიდან მხოლოდ 7 მანეთი დახარჯეს. რომელსაც გამოსცეს, ისიც უმნიშვნელო, რასაც ადასტურებს გაზ. "საქართველო"ში მოთავსებული კრიტიკული წერილები.~~ (ამ. [illegible]) ~~(და ასეთი უმოქმედობა არც კი აღნიშნა სარევიზიო კომისიამ თავის მოხსენებაში.~~ ორატორის აზრით აუცილებლად საჭიროა მიღებულ იქმნას გამგეობის მიერ წარმოდგენილი რედაქცია მე-8 §-ის შესახებ.

ილია მუმულიას აზრით სექცია თუ არსებობს მას იურიდიული უფლებაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული, იგი უნდა მოქმედებდეს ავტონომიურად, გამგეობისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ, საზოგადო საქმის საჭიროება მოითხოვს, რომ ინსტრუქციის მე-8 მუხლი უცვლელად დარჩეს.

ი. ნავაშიძე წინააღმდეგია დაწვრილებითი გეგმის შედგენისა, მისი აზრით, დაწვრილებითის ნაცვლად ჩაერთოს ტექსტში სიტყვა დაახლოვებით.

გ. მაჭავარიანი /სექციის წევრი/ მე ვეთანხმები გამგეობის მოხსენებას ე. ი. საჭიროდ ვსთვლი შევცვალოთ 8 მუხლი, ჩავმატოთ სიტყვა დასამტკიცებლად, მაგრამ ვიდრე ეს არ არსებობდა და სექციას ავტონომიურად უნდა ემოქმედნა, გამგეობისა და სექციათა შორის მთელის წარსული წლის განმავლობაში ბრძოლა იყო. [illegible]: ~~სექციის მიერ გამოსაცემად მოწონებული წიგნების გამგეობა~~ არ ამტკიცებდა, მაგალ., სექციამ დაადგინა ა. ყაზბეგის თხზულებათა ცალკე წიგნებად გამოცემა ხალხში გასავრცელებლად. გამგეობა კი, ხელს უშლის თავის საწინააღმდეგო დადგენილებით. მერე რითი ასაბუთებს გამგეობა თავის განაჩენს? ბატონს ჯაბადარს ბევრი, ჯერ კიდევ გაუყიდელი აქვს ა. ყაზბეგის თხზულებათა კრებული და ეს ხელს შეუშლის ჩვენი გამოცემათა გასაღების საქმეს. სექციას საზოგადო კრებისათვის წარსადგენად

შედგენილი ჰქონდა მოხსენება, სადაც აღნუსხული იყო ყველა ის დამა[illegible]
ლებელი მიზეზები, რამაც გამოიწვია ამ სექციის უმოქმედობა, მაგრამ წი
გან წარსულ წელს საზოგადო კრების დღის წესრიგში სექციათა ანგარიშ გა
განხილვა არ შედიოდა, ეს ჩვენი მოხსენებაც დარჩა განუხილველი. ბ-ნ სა
ბოცვაძე სექციას უმოქმედობას უკიჟინებს, ამბობს 7 მანეთის მეტი არ
უხარჯავსო, მაგრამ რატომ თავის თავს არ უკიჟინებს, რომ ხელი მოაწ
გამგეობის იმ განაჩენზე, რომლითაც ჩვენ წაგვერთვა საშვალება გამო
ცა-ყაზბეგის თხზულებანი ხალხში გასავრცელებლად და სისრულეში მოგვყვ
ნა ჩვენი დადგენილება.

დ. კარიჭაშვილი /თავმჯდომ./ ფაქტიურს შენიშვნებს აძლევს ბაც. მუფ
ვარიანს - არავითარი უთანხმოება არა ჰქონია გამგეობას დანარჩენ სექ
ებთან. მართალია, გამგეობას ჰქონდა უთანხმოება გამომცემელ სექციას
მაგრამ ეს უთანხმოება საზოგადო ნიადაგზე იყო აღმოცენებული და, გამ
ბის აზრით, საქმის სასარგებლოდ მიმართული. ყაზბეგის თხზულებათა შე
ხებ გამგეობას ჰქონდა ~~ასეთი~~ ცნობ~~ები~~, რომ თვითონ ჭაბადარი ~~დაეჭ~~ [illegible]
[illegible]
~~ვევე ხსენებულ თხზულებათა ცალკე წიგნებად გამოცემა~~, ~~რომ~~ (გამომ საქ
სცნო შეეჩერებინა სექციის დადგენილების სისრულეში მოყვანა; სექცია
ცნობების დასარღვევად უნდა წამოეყენებინა საბუთი, მაშინ გამგეობა
ოდ უკან წაიღებდა თავის დადგენილებას და სექციისას-კი დაადასტურებ
სექცია ასე არ მოქცეულა.

თ. კიკვაძე /გამგ. წევრი/ წინად როგორ მუშაობდა სექცია, ამას მე
შევეხები, მე შემიძლია დავამოწმო, რომ 6 მარტიდან დაწყებული სექცი
თვითეული წევრი სინიდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. 5 წიგნი
ვე დამზადებული აქვს დასაბეჭდათ. მაგრამ თუ ვერ დაიბეჭდა, ამის მიზ
ქაღალდის უქონლობა და მეტის მეტი სიძვირეა. სექცია გულ-ხელ დაკრეფ
არ ზის, იგი შეძლებისდაგვარად მუშაობს და ~~თუ~~ ხოლ ხელ-ფეხი შებორკილი ა
ჰქონდეს, დამოუკიდებლად მოქმედ[illegible] ეჭვი არ უნდა, ბევრს გააკეთებ

დაწვრილებითი გეგმის წარდგენა საქმის დამაბრკოლებელი იქნება. ხ
ად საკმარისად უნდა ჩაითვალოს, როცა 6 პირისაგან შემდგარი სექცია
დასაბუთებულ აზრს უდგენს გამგეობას ამა თუ იმ წიგნების ღირსება-
ნაკლულევანების შესახებ. თუ სექციის შედგენილობა არ ვარგა, კრებას
უძლიან იგი გამოსცვალოს, ხოლო უფლება თუ არ ექნა, საქმეს ვერ გააკ
თებს. ყოველთვის გამგეობისათვის დაწვრილებითი გეგმის შედგენა საქმ
აფერხებს და მავნებელი იქნება.

ნინო ნაკაშიძის აზრით, ტექნიკური მხარე სრულიად უნდა ჩამოშორდე
როგორც საგამომცემლოს, ისე სასკოლო სექციას. ორთავე სექციები იქნ
ან მხოლოდ ხელმძღვანელნი. სახელმძღვანელო წიგნების უკანასკნელი კო

ცურა უნდა გაასწოროს სასკოლო სექციამ, ხოლო სახალხო საკითხავი წიგნების წიგნების გამომცემელმა სექციამ. ეს საქმისთვის აუცილებელი საჭიროა. რადგან გამგეობა პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე წიგნების გამოცემის საქმეში, ინსტრუქციის მე-8 მუხლის ტექსტში აუცილებლად უნდა ჩაერთოს სიტყვები: "დასამტკიცებლად" და „დაწვრილებითი გეგმა" .

ვ. მაღალაშვილი მხარს უჭერს გამგეობის წინადადებას.

გრიგ. გორდეზიანი საჭიროდ სთვლის 8 მუხლის ნახევარი შეიცვალოს სიტყვის "დასამტკიცებლად" ჩართვით. ხოლო მეორე ნახევარი კი ამ მუხლისა დარჩეს ძველის რედაქციით, ე. ი. ორატორის აზრით, ზედმეტი და საქმისთვის უფრო მავნებელი იქნება, რომ სექცია ვალდებული გავხადოთ დაწვრილებითი გეგმა შეიმუშაოს ხოლმე.

გერას. იმნაიშვილის აზრით, რომ წიგნების გამომცემელი სექცია უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს, თვითონ გამგეობამ იკისროს გეგმის შედგენა და შემდეგ დაავალოს სექციას ამ გეგმის სისრულეში მოყვანა. სხვანაირად შეუძლებელია გამგეობის მიერ შემუშავებული რედაქციით მივიღოთ 8 მუხლი, ე. ი. ჩაერთოს სიტყვები "დაწვრილებითი და დასამტკიცებლად"

დიმ. ღუმბაძე. არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი არა სასიამოვნო ფაქტი. გამგეობას შეუქმნია უთანხმოება სექციათა შორის...)

თავმჯდომარე ორატორს აჩერებს.

დ. კარიჭაშვილი. „დაწვრილებითი გეგმა" გამგეობას ასე ესმის: ~~რომელი~~ [illegible] წიგნის გამოცემას აპირებს სექცია, რა უნდა დაიხარჯოს ამ წიგნის გამოცემაზე და რა და [illegible] რა წიგნ~~ები~~ [illegible] ~~უნდა გამოსცეს წლის განმავლობაში~~. ყველაფერი ეს აღნუსხული უნდა იყოს სამოქმედო გეგმაში. როცა ამ გეგმას გამგეობა დაამტკიცებს, ამის შემდეგ სექციას შეუძლიან დამოუკიდებლად იმოქმედოს, ხოლო არ უნდა დახარჯოს იმაზე მეტი, რაც ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია. თუ ვინიცობაა რომელიმე გეგმაში აღნიშნული წიგნის გამოცემა ვერ მოხერხდა სხვა და სხვა მიზეზების გამო, სექციას შეუძლიან სხვა წიგნი აირჩიოს, [illegible] ~~შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა და~~ წარმოუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლად. ასეთი წესით სრულიად არ ერთმევა უფლება სექციას თავისუფლად იმოქმედოს, იგი ემორჩილება მხოლოდ დამტკიცებულ გეგმას და მის ფარგლებში მოქმედობს.

ამ მცირე განმარტების შემდეგ თავმჯდომარე კითხვას გამორკვეულად სთვლის და ეკითხება კრებას, საჭიროდ სთვლის თუ არა იგი შეტანილ იქმნას 8 მუხლში ცვლილება გამგეობის რედაქციით.

კრება თითქმის ერთხმად ღებულობს გამგეობის წინადადებას, ე. ი. ინსტრუქციის 8 მუხლი შეიცვალოს შემდეგის რედაქციით: "წლის დამლევს, არა უგვიანეს I5 იანვრისა სექცია წარუდგენს გამგეობას განსახილველად და დასამტკიცებლად გასული წლის თავის მოქმედების ანგარიშს და მომავალი წლის

თავის მოქმედების დაწვრილებით გეგმას"

თავმჯდომარე ხსნის კამათს ინსტრუქციის 18 მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

თ. კიკვაძე. როდესაც საზოგადო კრება ფუნქციებს ანაწილებდა სექციათა შორის, ამით იგი იცავდა შრომის განაწილების პრინციპს; სასკოლო სექციას დააკისრა სკოლების მოვლა-პატრონობა, ბიბლიოთეკების მომწყობ სექციას ბიბლიოთეკების და სახალხო კითხვების მოწყობა, წიგნების გამომცემელ სექციას კი წიგნების გამოცემის საქმე. სასკოლო სექციას დავალებულ აქვს თვალყური ადევნოს პედაგოგიურ ლიტერატურას, აირჩიოს გამოსაცემად შესაფერი სახელმძღვანელო წიგნები. ეს ძლიერ დიდი და მძიმე საქმეა და თუ ეს მან პირნათლად შეასრულა, ამაზე მეტს ვერ მოვთხოვთ. ამავე დროს სასკოლო სექცია დაჟინებით მოითხოვს, რომ მას გადაეცეს სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვაც, ე. ი. მის შემოქმედებითი ფუნქციას მიემატოს ტექნიკური მხარეც, გამგეობაც ამას ადასტურებს და ინსტრუქციაში შეაქვს მიზნის შეუფერებელი ცვლილება, იმ დროს, როდესაც ჩვენი სახელმძღვანელო წიგნები ძირითად ცვლილებას და შესწორებას საჭიროებენ და სასკოლო სექციამ მთელი თავისი ძალ-ღონე ამას უნდა მოახმაროს, რომ ჩვენმა სახელმძღვანელო წიგნებმა კონკურენცია გაუწიოს ახლად გამოსულ წიგნებს, გამგეობა კი ავალებს მას ტექნიკური მხარეც იკისროს, ზედმეტი შრომა თავზედ მოახვიოს და ნამდვილ დასახულ მიზანს ჩამოშორდეს. ქუთაისში უკვე გამოვიდა რუსული სახელმძღვანელო წიგნი "Новое Слово" პირველი გამოცემა სულ გასაღდა, "დედა ენა" I ნაწილის მაგვარად გამოვიდა კიდევ ახალი სახელმძღვანელო-„ქართული ანბანი." თუ ამ გარემოებას ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ, შეიძლება ამ წიგნების მეორე გამოცემამ ჩვენს სახელმძღვანელო წიგნებს ბაზარი დაუკარგოს და ამით ~~ჩვენ~~ საგრძნობელი ზარალი მოგვაყენოს. გამგეობამ გადაუხვია ~~ნამდვილ~~ ჭეშმარიტ გზას, როდესაც მან სახელმძღვანელო წიგნების გამოცემის საქმე სასკოლო სექციას გადასცა. თუ ამით ასაბუთებს გამგეობა, რომ ეხლანდელი წიგნების გამომცემელი სექციის შემადგენლობა არ ვარგა, გამგეობას შეუძლიან მოახსენოს კრებას და მის საშვალებით გამოსცვალოს სექციის წევრნი და მათ ნაცვლად აირჩიოს უფრო შესაფერნი, შრომის მოყვარულნი და საქმის მცოდნე პირნი. ფინანსთა მინისტრი რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდეს, და მისი ფუნქციები დააკისრონ სამხედრო მინისტრს, ეს ხომ შეუძლებელი იქნება და შეუფერებელიც. უვარგის გადაყენებულ ფინანსთა მინისტრის ადგილი უნდა დაიჭიროს ფინანსების მცოდნე პირმა. მე ვამტკიცებ, რომ მთელი გამომცემლობა წიგნებისა, სახელმძღვანელო იქნება ეს თუ სახალხო საკითხავი, უნდა მოთავსდეს საგამომცემლო სექციის ხელში.

რაიცა შეეხება ტეხნიკურ მხარეს, ე. ი. კორექტურას, ბეჭდვის მეთვალყუ-
რეობას, ამისათვის შეიძლება დაქირავებულ იქმნას განსაკუთრებული პირი,
რომელიც იქნება სექციის განკარგულებაში. ამჟამად კორექტურა-მეთვალყურე
ობაზე იხარჯება 600 მანეთამდე. ~~შევიძლია~~ ამას ~~დავუმატოთ~~ კიდევ I5 თუ-
მანი ~~და~~ ამ ფულით ~~დაქირავებული~~ ~~იქნება~~ განსაკუთრებული პირი, მაგრამ
ვიდრე ეს განსაკუთრებული პირი იქნებოდეს მოწვეული, წინადადებას ვიძლევი
ინსტრუქციის I3 მუხლი დარჩეს ისევ ძველის რედაქციით და გამომცემლობის
საქმე ჩამოშორდეს სასკოლო სექციას, და მოთავსდეს საგამომცემლო სექციის
ხელში ე. ი. საგამომცემლო საქმე ~~წარმოებდეს~~ ისევ ძველს პირობებში.

ვ. გვარჯალაძე. რითი აიხსნება ის გარემოება, რომ გამგეობა I3 მაისის
კრებაზე სახელმძღვანელო წიგნების გამომცემლობის საქმეს აძლევს ისევ
საგამომცემლო სექციას, ე. ი. უბრუნებს მას წართმეულს უფლებას და I7
ნოემბრის კრებაზედ კი ხელმეორედ იხილავს ამავე საკითხს, არღვევს თავის
დადგენილებას ~~I3 მაისის თარიღით~~ და სახელმძღვანელო წიგნების გამოცემას
ისევ სასკოლო სექციას აძლევს.

თავმჯდომარე. მართალია, ხსენებული ინსტრუქციის ძალით სასკოლო სექციას
არ ჰქონდა წიგნების გამოცემის უფლება, მაგრამ საქმის საჭიროებისათვის
გამგეობამ გადასცა იგი სასკოლო სექციას. მართალია ისიც, რომ I3 მაისის
კრებაზე გამგეობამ ინსტრუქციის ~~ძალით~~ სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა
საგამომცემლო სექციას ~~გადასცა~~, მაგრამ ვინაიდან საზოგადო კრების განსა
ხილველად ~~საგამომცემლო სექციის შუამდგომლობის თანახმად~~ გამგეობას უნდა
წარედგინა მოხსენება ინსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, მან,
გამგეობამ, განიხილა სასკოლო სექციის დადგენილება I3 მუხლის შეცვლის
შესახებ და ხმის უმეტესობით დაადასტურა ეს დადგენილება საზოგადო კრე-
ბისათვის მოსახსენებლად. გამგეობა ფიქრობდა და ეხლაც ფიქრობს, რომ ასე
თი განაწილება წიგნების გამოცემისა საქმისათვის უმჯობესია.

ვ. გვარჯალაძე. სწორედ რომ საქმისათვის სასარგებლო არ არის ასეთი
დადგენილება. სასკოლო სექცია წიგნებს უნდა ადგენდეს, ასწორებდეს, ხო-
ლო მის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს ტეხნიკური მხარე - წიგნების
ბეჭდვა, კორექტურის გასწორება და სხვა. ეს მას უნდა ჩამოშორდეს.

ი. ნაკაშიძე საჭიროდ სთვლის შესდგეს განსაკუთრებული ტეხნიკური კო-
მისია, რომელსაც დაევალება ორთავე სექციის მიერ შედგენილ-შესწორებული
წიგნები გამოსცეს. ეს საშუალებას მისცემს ორსავე სექციას უფრო მეტი შე
მოქმედებითი უნარი გამოიჩინოს.

დ. ბოცვაძე /გამგ. წევრი/ ბ-ნ თ. კიკვაძემ უსაყვედურა გამგეობას,

რომ მან შრომის განაწილების პრინციპი დაარღვია, როცა სასკოლო სექციას
გადასცა სახელმძღვანელო წიგნების გამოცემის საქმე. გამგეობამ შრომის
ნაწილების პრინციპი კი არ დაარღვია, პირიქით, დაიცო, როდესაც სახელმძ
ვანელო წიგნები ჩამოაშორა წიგნების გამომცემელ სექციას და სასკოლოს გა
დასცა. რა დააშავა სასკოლო სექციამ, თუ ის ხელმძღვანელობდა ამ წიგნებ
გამოცემის საქმეს. სამი წელიწადია რაც ეს სექცია ამ საქმეს აწარმოებს
და იმაზე მეტის გაკეთება, რაც გააკეთა შეუძლებელი იყო. საჭირო ცვლილე-
ბანი შეიტანა სახელმძღვანელო წიგნებში "Русское Сл. I და II ნაწ. ამ
შესწორებას ბევრი დრო დასჭირდა. კორექტურის საქმესაც რიგიანად აწარმო
და, სექციას ჰყავდა სამი კორექტორი. აირჩიეთ თუ გინდათ ერთი დახელოვნ
ბული კაცი, თვალყურის დევნება და ხელმძღვანელობა მაინც საჭიროა. წიგნ
ბის შემდგენელი და შემსწორებელი აუცილებლად თვითონ უნდა იყოს კორექტო-
რიც, რომ შეცდომა არ გაიმეოროს, ამისათვის ორს სექციაში საქმის დაბა
ლება მავნებელი იქნება. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გარდა ჩვ
წინადადებას ვაძლევდით წიგნების გამომცემელ სექციას გამოეცა, მაგალითა
ხრამელაშვილის კრებულის I და II ნაწილი, მაგრამ სექციამ ეს არ იკისრა.
ეს იყო მაშინ, როცა სექციას თავმჯდომარეობდნენ ე. ჯაჯანაშვილი და ვ.ნ
ნიძე. დიდი სიფრთხილე მართებს სექციას, რომ გოგებაშვილის სახელმძღვა-
ნელო წიგნები, რომელიც საგრძნობელ მოგებას აძლევს ჩვენს საზოგადოებას,
თავის დროზე იბეჭდებოდეს, თავის დროზე გამოდიოდეს ბაზარზე გასასყიდ-
ლად. რომ საგამომცემლო სექციას კი ასეთი საპასუხისმგებლო საქმე არ მი-
[illegible]
ენდობა. ამ სექციამ თავისი უმოქმედობა ნათლად დაგვიმტკიცა. ჩემი ღრმა
რწმენაა საქმის ნორმალური მიმდინარეობისათვის სახელმძღვანელო წიგნების
გამოცემის საქმე მოთავსდეს სასკოლო სექციის ხელში.

დ. დუმბაძე კვლავ მწუხარებით აღნიშნავს, რომ სექციათა შორის არსებულ
უთანხმოებას და სთხოვს თავმჯდომარეს შესწყვიტოს ამ საგანზე ლაპარაკი.

თავმჯდომარე. აღნიშნავს, რომ სექციებს საქმე აქვთ პირდაპირ გამგეო-
ბასთან. ერთმანეთს შორის კი არაფერი. გამგეობამ პრაქტიკულად შეხედა სა
კითხს. საქმისათვის უფრო სასარგებლოდ დაინახა სახელმძღვანელო წიგნების
გამოცემის საქმე მიენდო სასკოლო სექციისათვის, რომელშიაც შედიან სპეც
ალისტები-პედაგოგები. თუ კი სასკოლო სექცია სახელმძღვანელო წიგნებს და-
ამზადებს, ამ მზა-მზარეული წიგნების მეორე სექციისათვის მხოლოდ დასაბე
დათ გადაცემა, ე.ი. ტეხნიკური მხარის შესრულება, სრულიად საჭირო არ
არის. წიგნების გამომცემელი სექცია ტეხნიკური მხარეების შესასრულებლად
კი არ არის არჩეული, არამედ შემოქმედებითი მუშაობისათვის. მან უნდა შექ
მნას სახალხო და საყმაწვილო ლიტერატურა და გაავრცელოს საქართველოს ყვე

და კუთხეებში. ტექნიკური საჭიროებისათვის გამგეობა ფიქრობს მოიწვიოს ჯამაგირით მცოდნე კაცი, რომელიც გაუძღვება წიგნების ბეჭდვის ტექნიკურ მხარეს, ისე, როგორც მაგალითად, საზოგადოებას ჰყავს მდივანი, ბუღალტერი, რომელნიც სპეციალ დავალებას ასრულებენ.

თ. კიკვაძე. საგამომცემლო სექციის განკარგულებაში 3000 მანეთია გადადებული. მე მგონია ამ მცირეოდენი თანხით შეუძლებელია ისეთი დავალების შესრულება, როგორც ბატონმა თავმჯდომარემ აღნიშნა თავის სიტყვაში, ~~ე. ი. მთელი საქართველოს კუთხეების შემოვლა და შესწავლა~~...

თავმჯდომარე შენიშნავს, რომ მან აღნიშნა მხოლოდ სექციის დანიშნულება

თ. კიკვაძე განაგრძობს: „ერთი სპეციალურად მომზადებული პირის მოწვევა აუცილებლად საჭიროა, ამას სექციაც ფიქრობს, მაგრამ ვიდრე ეს განხორციელდებოდეს, წიგნების გამოცემის საქმე დარჩეს ძველ პირობებში.

სპ. კედია. როგორც ვამჩნევ, გამგეობის მოქმედებაში ~~ერთი~~ მთლიანობა არ არსებობს. გამგეობის წევრს, რომელიც ვალდებულია გამგეობის აზრი დაიცვას, სულ სხვა პოზიცია უჭირავს. ამით ეთიკა ირღვევა.

თ. კიკვაძე. მე ეთიკა არ დამირღვევია. როცა ეს საკითხი ირჩეოდა გამგეობაში, მე წინააღმდეგი ვიყავი და განვაცხადე, რომ ვიტოვებ უფლებას საზოგადო კრებაზე ამ საგნის შესახებ ლაპარაკისათვის.

თავმჯდომარე ამოწმებს კიკვაძის განმარტებას.

დ. ხართიშვილი. ბ-ნო თავმჯდომარე! თქვენ კრებას გამოუცხადეთ, რომ ეს კითხვა გამორკვეულია, ოლო საჭიროდ კი დაინახეთ აგიტაცია გაგეწიათ გამგეობის წინადადების სასარგებლოდ. მე ვამტკიცებ, რომ ეს კითხვა ჯერაც გამოურკვეველია. აქ ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა სუფევდეს სექციათა შორის და სექციათა და გამგეობის შორის, მაგრამ არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა საზოგადო კრებებსა და მისგან არჩეულ ორგანოთა შორის...

თავმჯდომარე. თქვენ სიტყვა არ გითხოვიათ.

ხართიშვილი... მე სიტყვა ვითხოვე და თქვენ არ ჩამიწერივართ.

თავმჯდომარე ათავსებს ხართიშვილს მოლაპარაკეთა სიაში და დროებით სიტყვას ართმევს.

შ. ქარუმიძე. აქ რაღაც სხვანაირი ატმოსფერა ტრიალებს...

თავმჯდომარე. რომელ ატმოსფერაზე ბრძანებთ ფიზიკურს თუ ~~სულიერზე~~ ზნეობრივზე?

შ. ქარუმიძე ~~პასუხს ერიდება და~~ განაგრძობს: „სასკოლო სექციას მრავა-ლი თავისი სპეციალური საქმე აქვს და თუ ის იმას გაუძლვა, მადლობელნი უნდა ვიქნეთ. რად კისრულობს ეს სექცია ზედ-მეტ შრომას? სახელმძღვანე-ლო წიგნების ბეჭდვა განსაკუთრებულს არას წარმოადგენს, რომ ამ ხასიათის წიგნების გამოცემა ჩამოშორდეს საგამომცემლო სექციას. ორატორი მომხრეა იმ აზრის, რომ ორთავე სექციას ტექნიკური საქმე სრულიად ჩამოშორდეს, მაგ-რამ ვიდრე ეს არ განხორციელდება, მთელი გამომცემლობის საქმეს ერთი სექ-ცია უნდა აწარმოებდეს.

~~თავმჯდომარე. სამუზეუმო სექციის მიერ შედგენილი ერთი პატარა წიგნი გადავეცი წიგნების გამომცემელ სექციას, მაგრამ ისევ უკან დაგვიბრუნა დედანი და დასძინა, რომ ასეთი წიგნების /ხუცური ანბანი/ გამოცემა სექ-ციის კითხულს არ შეადგენსთ.~~

ნ. ნაკაშიძე. წიგნების გამოცემის ტექნიკური მხარე აუცილებლად უნდა ჩამოშორდეს ორთავე სექციას. ხოლო თითეული სექცია უნდა იყოს გამოცემის ხელმძღვანელი: როგორც სასკოლო, ისე საგამომცემლო სექციამ უნდა იკის-როს სარედაქციო საქმე. სასკოლო სექცია პედაგოგიურ წიგნების გამოცემას ვერავის დაუთმობს, რადგან ბოლომდის მანვე უნდა ადევნოს თვალყური წიგ-ნის ბეჭდვას. მესამე კორექტურა აუცილებლად სექციამ უნდა გადაათვალიე-როს. განსვენებული ი. გოგებაშვილი თუმცა კორექტურას სხვას ასწორებინე-და, მაგრამ უკანასკნელად რომ თვითონ არ შეეხედა ~~კორექტურა~~ შეუძ-ლებელი იყო.

ი. მუმულია. სასკოლო სექცია წიგნების გამოცემის საქმეში დიდი ავტო-რიტეტი არ არის. ყოველ საქმეში საჭიროა სპეციალიზაციის, ერთგვარი დი-ფერენციაციის შეტანა და ეს ამ საქმეშიც უნდა იქნას შეტანილი. არსებუ-ლი ინსტრუქციით ეს გათვალისწინებულია, ყოველ გვარ გამოცემის საქმეს აწარმოებს საგამომცემლო სექცია და ეს ასე უნდა დარჩეს ბოლომდე.

თ. კიკვაძე. როგორი კორექტორი ჰყავს სასკოლო სექციას, როგორის ყუ-რადღებით ასწორებს ეს სექცია სახელმძღვანელო წიგნებს ამის დასამტკიცებ-ლად წარმოვიდგენთ ნიმუშს "დედა ენა" I ნაწ. /იღებს სტოლიდან და აჩვე-ნებს კრებას/ რომელშიაც ასამდე კორექტურული შეცდომაა...

თავმჯდომარე აჩერებს ორატორს. დარბაზში ხმაურობა გაისმის.

დ. ხართიშვილი. ბ-ბო! მე გულწრფელად მოგახსენებთ რომ ამ კრებაზე ა-ვითარი სურვილი არ მქონია მელაპარაკნა, განსაკუთრებით იმ ატმოსფეროს გამო, რომელიც შარშანდელ წლიურ კრებებზე შექმნეს და დღესაც სუფევს სრულიად უსაფუძვლოდ. ამას მე ხმა-მაღლა ვაცხადებ. მაგრამ, როცა ვხედავ

შ. ქარუმიძე ~~პასუხს ერიდება და~~ განაგრძობს: „სასკოლო სექციას მრავა-
ლი თავისი სპეციალური საქმე აქვს და თუ ის იმას გაუძღვა, მადლობელნი
უნდა ვიქნეთ. რას კისრულობს ეს სექცია ზედ-მეტ შრომას? სახელმძღვანელო
წიგნების ბეჭდვა განსაკუთრებულს არას წარმოადგენს, რომ ამ ხასიათის
წიგნების გამოცემა ჩამოშორდეს საგამომცემლო სექციას. ორატორი მოხრე-
ა იმ აზრის, რომ ორთავე სექციას ტექნიკური საქმე სრულიად ჩამოშორდეს, მა-
რამ ვიდრე ეს არ განხორციელდება, მთელი გამომცემლობის საქმეს ერთი სექ-
ცია უნდა აწარმოებდეს.

~~თავმჯდომარე. სამუზეუმო სექციის მიერ შედგენილი ერთი პატარა წიგნი
გადავეცი წიგნების გამომცემელ სექციას, მაგრამ ისევ უკან დაგვიბრუნეს
დედანი და დაბძინა, რომ ასეთი წიგნების /ხუცური ანბანი/ გამოცემა სექ-
ციის კითხულს არ შეადგენსო.~~

ნ. ნაკაშიძე. წიგნების გამოცემის ტექნიკური მხარე აუცილებლად უნდა
ჩამოშორდეს ორთავე სექციას. ხოლო თვითეული სექცია უნდა იყოს გამოცემის
ხელმძღვანელი: როგორც სასკოლო, ისე საგამომცემლო სექციამ უნდა იკის-
როს სარედაქციო საქმე. სასკოლო სექცია პედაგოგიურ წიგნების გამოცემას
ვერავის დაუთმობს, რადგან ბოლომდის მანვე უნდა ადევნოს თვალყური წიგ-
ნის ბეჭდვას. მესამე კორექტურა აუცილებლად სექციამ უნდა გადაათვალიე-
როს. განსვენებული ი. გოგებაშვილი თუმცა კორექტურას სხვას ასწორებინე-
და, მაგრამ უკანასკნელად რომ თვითონ არ შეემოწმებინა ~~კორექტურა~~ შეუძ-
ლებელი იყო.

ი. მუმულია. სასკოლო სექცია წიგნების გამოცემის საქმეში დიდი ავტო-
რიტეტი არ არის. ყოველ საქმეში საჭიროა სპეციალიზაციის, ერთგვარი დი-
ფერენციაციის შეტანა და ეს ამ საქმეშიც უნდა იქნას შეტანილი. არსებუ-
ლი ინსტრუქციით ეს გათვალისწინებულია, ყოველ გვარ გამოცემის საქმეს
აწარმოებს საგამომცემლო სექცია და ეს ასე უნდა დარჩეს ბოლომდე.

თ. კიკვაძე. როგორი კორექტორი ჰყავს სასკოლო სექციას, როგორის უყუ-
რადღებით ასწორებს ეს სექცია სახელმძღვანელო წიგნებს ამის დასამტკიცე-
ბლად წარმოგიდგენთ ნიმუშს "დედა ენა" I ნაწ. /იღებს სტოლიდან და აჩვე-
ნებს კრებას/ რომელშიაც ასამდე კორექტურული შეცდომაა...

თავმჯდომარე აჩერებს ორატორს. დარბაზში ხმაურობა გაისმის.

დ. ხართიშვილი. ბ-ბო! მე გულწრფელად მოგახსენებთ რომ ამ კრებაზე ა-
ვითარი სურვილი არ მქონია მელაპარაკნა, განსაკუთრებით იმ პროტესტერის
გამო, რომელიც შარშანდელ წლიურ კრებებზე შექმნეს და დღესაც სუფევს
სრულიად უხაფუძვლოდ. ამას მე ხმა-მაღლა ვაცხადებ. მაგრამ, როცა ვხედავ

რომის, რაც სათქმელია არავინა სთქვა, ჩემს საზოგადოებრივ მოვალეობად მიმაჩნია მე აღვნიშნო ის, აი ამიტომ, იძულებული ვარ შევაწუხოთ და მოგახსენოთ სიმართლე. ეს კითხვა ბატონებო კრებაზე გამოსატანი არ იყო, რადგანაც თვითონ გამგეობას შეეძლო მისი მოწესრიგება. გამომცემელი სექციის თავმჯდომარეა თ. კიკვაძე და სასკოლო სექციის ლ. ბოცვაძე, სექციებში არიან გამგეობისაგან არჩეულნი და, მაშასადამე, თუ თ. კიკვაძე უვარგისია გამოცემის საქმეში და ბ-ნი ბოცვაძე კი შესაფერი, კიკვაძის მაგიერ ბოცვაძეს ~~[illegible]~~ დაუნიშნავდი საგამომცემლო სექციას და კითხვაც გადიჭრებოდა, თორემ მათთვის სახელმძღვანელოდ შედგენილი ინსტრუქცია პირდაპირ ამბობს, რომ ყოველივე გამოცემა, თვით ისეთიც კი, რომელსაც სხვა სექცია მოიწონებს გამოსაცემად უნდა გადაეცეს საგამომცემლო სექციას ~~გამოსაცემად~~ და აი გამგეობა ამ ადვილსა და უბრალო საქმეს აძნელებს, ამისათვის არღვევს საზოგადო კრების სურვილსა და დავალებათ... სექციებს როლებს უცვლის და მათში თანხმობის მაგიერ განხეთქილება-შური შეაქვს. აი ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში, თორემ გამგეობას ასეთი მოქმედებით საზოგადო ეთიკა და თვით საზოგადო საქმეც დაღმართისაკენ მიჰყავს. ჯერ იყო და მან, გამგეობამ, 1911 წლის საზოგადო კრების დავალება, ~~რომ~~ საგანგებო კრება უნდა მოეწვია, ~~გამგეობას~~, არ შეასრულა და წინააღმდეგი დაადგინა: არ მოიწვევს. მათთვის მაშინ საყვედური არავის უთქვამს და მარტო მე დავრჩი მათ წინააღმდეგ... ახლაც იმასვე იმეორებს გამგეობა, საგამომცემლო სექციის საქმეს, საზოგადოების ნების წინააღმდეგ, სასკოლო სექციას აკისრებს და ამას ის სჩადის, მაშინ, როცა საგამომცემლო სექცია არსებობს. საჭიროა გამოირკვეს ვინაა აქ უფროსი, ე. ი. უბრალოდ რომ ვსთქვათ "ხაზეინი"? მე ვფიქრობ რომ "ხაზეინი" ეს საზოგადო კრებაა და ყველა დანარჩენი ორგანოები კი: გამგეობა, სარევიზიო კომისია და ყველა სექციები ირჩევიან მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კრების სურვილები და დავალებანი სისწორით მოიყვანონ სისრულეში - არც მეტი და არც ნაკლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სრულიად ამის წინააღმდეგს ვხედავთ. ეს ორგანოები არა თუ თვითონ არ ემორჩილებიან საზოგადო კრების ნებას, პირიქით თავის ნებას აბატონებენ მათზე [illegible]... გამგეობამ ჯერ დაარღვია საზოგადო კრების ნება და ახლა ამის შემდეგ სურს საზოგადო კრებას, სრულიად უსაფუძვლოდ შეაცვლევინოს ინსტრუქციის მუხლი. გამგეობის წევრთაგან თხოულობენ ეთიკის დაურღვევლობასა და გამგეობა, რომ სისტემატიურად არღვევდა და არღვევს ამ ეთიკას, ამას კი არავინ აქცევს ყურადღებას. ~~[illegible] ეს საკითხი სრულიად უბრალოა და, მაშასადამე, არც კრებაზე იყო საჭირო მისი შემოტანა, მაგრამ ჩვენ მაინც [illegible] ამის მონაწილე.~~.. ლაპარაკობენ, რომ კორექტურის ფულის გამო გამოწვეული ესეთი შეჯახებაო /ლაპარაკობენ ცალ-ცალკე გამგეობის წევრებიც, სარევიზიო კომისიის წევრებიც და სხვა~~ებ~~ი, ვინც ახლოს იცნობს საგანს/

თავმჯდომარე მე არაფერი ვიცი ამის შესახებ.

დ. ხართიშვილი. მე არ ვიცი თქვენ იცით თუ არა, რადგან მე არ მქონია შემთხვევა თქვენგან ~~[illegible]~~ გამეგონოს ეს, ხოლო ამაზე საუბარს ხშირად შევხვედრივარ ხოლმე. თუ ეს მართალია, თუ მართლა ამითაა გამოწვეული ეს შეჯახება, სამწუხაროა და საზიზღარიც...

საჭიროა ბ-ნო! თავის უფლება-ვალდებულებათ ფრთხილად და ფაქიზად მოვექცეთ, ისე საზოგადოება დაღმართისაკენაა პირნაქცარი. ჩვენ რომ შემოწირული თანხები არ გვადგმევინებდეს სულს, საქმე ისეა დაყენებული, რომ საზოგადოების არსებობა არ შეიძლებოდა. აბას ვხედავთ ჩვენს ყველა ქართულ დაწესებულებებში, აბა მიმითითეთ, რომელი ჩვენი საზოგადოებაა აყვავებული? ასეთივე ბედი ეწეოდა ამ საზოგადოებასაც, შემოწირულებანი რომ არ აბოგინებდნენ მას. ეს შემოწირულებანიც უსარგებლოდ იხარჯებიან, ამიტომ საზოგადოება აყვავების მაგიერ ჩიავდება და უკან უკან მიდის. აი აქეთაა საჭირო საზოგადოებამ მიაქციოს თავისი ყურადღება, თორემ საზოგადოება დაღუპვის გზაზეა შემდგარი.....

გ. იმნაიშვილი. ამბობენ სასკოლო სექციამ კორექტურის ფულები ჩაიჯიბაო. არც ერთ სასკოლო სექციის წევრს წიგნების გამოცემის საქმესთან და კორექტორთან არავითარი კავშირი არა აქვს. თავმჯდომარეს ბ-ნს ბოცვაძეს თუ აქვს საქმე, ეს თვითონ მას და გამგეობას ეცოდინება. წიგნების გამოცემის ტექნიკის მე არაფერი მესმის, ასევე ითქმის დანარჩენ სექციის წევრებზედაც. მიქაბერიძეზე, ზურაბიშვილზე და სხვებზე. სიმართლე მოითხოვს, რომ წიგნების გამოცემის საქმე აწარმოვოს სპეციალურმა ორგანომ. ეს ორგანო არის საგამომცემლო სექცია...

დ. ბოცვაძე. უკანასკნელ კრებაზე გადასწყდა სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა სასკოლო სექციას გადაეცესო. ამ საკითხის განხილვაში მე მონაწილეობა არ მიმიღია. ბ-ნს იმნაიშვილს კი ოქმზე ხელი უწერია...

გ. იმნაიშვილი. დიახ, ოქმზე ხელი მოვაწერე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საკითხი საზოგადო კრებას უნდა მოხსენებოდა... სათქმელი ბევრი მაქვს და თუ ბ-ნი ბოცვაძე ნებას მომცემს მოგახსენებთ...

ხმები: ბრძანეთ, ბრძანეთ...

თავმჯდომარე ზარს რეკს.

გ. იმნაიშვილი. სულ ერთია გაიგებთ რა მაქვს სათქმელი, აი /კრებას უჩვენებს ერთს ფურცელს დაწერილს ქაღალდს/...

იმნაიშვილი განაგრძობს: დიახ, როდესაც გამგეობამ სახელმძღვანელო წიგ-

ნების გამოცემის საქმე სასკოლო სექციას ჩამოართვა და მეორე სექციას გადასცა. ამან ისე იმოქმედა ბ-ნს სასკოლო სექციის თავმჯდომარეზე, რომ უარიც კი განაცხადა განეგრძო სექციაში მუშაობა. სექციის სხდომები არ ხდება, ნორმალური მუშაობა შეწყვეტილი იყო. ..

თავმჯდომარე- გამგეობას ხელთ ჰქონდა სასკოლო სექციის ოქმი, რომელზედაც ხელი უწერია ბ-ნს იმნაიშვილსაც. სექცია თხოულობს სახელმძღვანელო წიგნების გამოცემის საქმე სასკოლო სექციას გადაეცეს.

სპ. კედიას წინადადება შემოაქვს სექციათა შორის არსებულ უთანხმოების გამოსაკვლევად არჩეულ იქმნას 3 ან 5 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც თავის დასკვნა უნდა მოახსენოს შემდეგ კრებას.

გ. ლასხიშვილი. საქმე სრულიად მარტივად იყო წამოყენებული და ასეთი დიდი კამათისატეხა ამ საკითხის ირგვლივ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. თავის [illegible] გამოტანის დროს გამგეობას მხედველობაში ჰქონდა, რომ საგამომცემლო სექცია იდეური სექციაა, რომელსაც დიდი შემოქმედებითი მუშაობა აქვს დაკისრებული და არა მარტო ტეხნიკური მხარე. ტეხნიკური ნაწილისათვის გამგეობა ფიქრობს განსაკუთრებული პირი მოიწვიოს. საგამომცემლო სექციას არ ექნება იმდენი დრო, რომ სახელმძღვანელო წიგნის ბეჭდვასაც გაუძღვეს. ეს წიგნები იბეჭდება ათი-ათასი ცალობით, მერე თავის დროზედ უნდა მოესწროს. ამას გარდა სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა პედაგოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. ამიტომ, გამგეობის აზრით, ეს წიგნები უთუოდ სპეციალური ორგანოს ხელმძღვანელობით უნდა იბეჭდებოდეს...

ი. დუმბაძე [?] მე ვემხრობი გამგეობის დადგენილებას. ინსტრუქციის მე-13 § აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

თავმჯდომარე - საკითხს გამორკვეულად ალიარებს და კრების სურვილის თანახმად უბრალო ხმის ჩამოტარებით კენჭს უყრის გამგეობის წინადადებას ინსტრუქციის მე-13 §-ის "კ" მუხლის შესახებ. . .

კრება 37 ხმით წინააღმდეგ 29 ხმისა ღებულობს გამგეობის წინადადებას. ამნაირად ინსტრუქციის 13 §-ის მუხლი "კ" იცვლება შემდეგის რედაქციით: "თვალყურს ადევნებს პედაგოგიურ ლიტერატურას და ირჩევს გამოსაცემად შესაფერს სახელმძღვანელოებს, ან თვით ადგენს და თვითონვე აწარმოებს გამოცემის საქმესაც, ე. ი. თვითონვე ბეჭდავს"

კრება დაიხურა დღის 4 საათსა და 10 წუთზე. შემდეგი კრება დაინიშნა 6 დეკემბერს.

კრების თავმჯდომარე [signature]

მდივანი [signature]

№4.

15 16

# ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიურის კრებისა 6 დეკემბერს 1915 წლისა.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა დ. გ. კარიჭაშვილმა. დილის II საათსა და 40 წუთზე. დაესწრნენ: საზოგადოების საპატიო წევრი ანასტასია წერეთლისა, გამგეობის წევრნი: გ. ლასხიშვილი, ივ. ვართაგავა, ნ. ნაკაშიძე, შ. დედაბრიშვილი, პ. კიკალიშვილი, გრ. რცხილაძე, გ. ცინცაძე, მდივანი ვ. ბურჯანაძე და 82 ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს 29 ნოემბრის საზოგადო კრების ოქმს.

ოქმში მოხსენებულ ორატორთაგან მცირეოდენი შესწორება შეაქვთ გ. იმნაიშვილსა და დ. ხართიშვილს მათ მიერ ნათქვამს სიტყვებში.

ვ. ჯაფარიძე და ბ-ნი ხომერიკი ზედმეტად სთვლიან კრებაზე წინანდელ სხდომის ოქმის წაკითხვას და სრულიად საკმარისად ალიარებენ კრებისათვის მხოლოდ დადგენილებათა მოხსენებას, ორატორთა ნალაპარაკევი კი უნდა ინახებოდეს წ. კ. გ. საზოგადოების საქმეებში.

ა. ლულაძე ემხრობა ჯაფარიძისა და ხომერიკის აზრს, ხოლო დასძენს, რომ თუ რომელიმე ორატორი მოისურვებს გაიგოს სისწორით არის თუ არა ჩაწერილი მისი ნალაპარაკევი, და ოქმში შეტანილ სიტყვის შესწორებას მოინდომებს, ეს ცვლილება უნდა მოხდეს გამგეობასთან შეთანხმებით, რათა ალდგენილ იქმნას ნამდვილი ტექსტი ორატორის სიტყვისა.

ამის შემდეგ კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: "29 გიორგობისთვის საზოგადო კრების ოქმი დამტკიცებულ იქმნას, ხოლო მომავალში დროს მოსაგებად საზოგადო კრებას მოხსენდეს ხოლმე წინანდელი კრების მიერ გამოტანილი დადგენილებანი, ვრცელი ოქმები კი არ იკითხებოდეს; დაინტერესებულ მოლაპარაკეთ შეუძლიანთ თვითონ გაეცნონ მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვის შინაარს საზოგადოების კანცელარიაში მდივანთან".

მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს გამგეობის მოხსენებას ძველი ვალების განალდების შესახებ.

ამ მოხსენებაში ალნიშნულია, რომ ამ ჟამად სხვა და სხვა პირებზე და დაწესებულებებზე ითვლება ვალად 539I - 70 კაპ. ამ ვალიდან გამგეობის აზრით - 586 მ. 92 კაპ. განალდდება უსაჩივროდ, ხოლო 4040 - 28 კაპ. ანაზლაურებულ უნდა იქმნას სასამართლოს წესით, 764 მ. და 50 კაპ., როგორც უიმედო ვალი-ჩამოიწეროს ბალანსიდან. კრებამ უკამათოდ მიიღო გამგეობის მოხსენება და დაადგინა: "გამგეობის მოხსენების თანახმად უიმედოდ ალხარებული ვალი, რაც უდრის 764 მ. და 50 კაპ. ჩამოიწეროს ბალანსიდან და

გამორიცხულ იქმნას ქონებიდან. ამასთან დაევალოს გამგეობას სასამართლ
წესით გაანაღდოს 4040 მ.. 28 კ, რომელიც ირიცხება 28 პირზე და დაწესე
ბულებაზე".

თავმჯდომარე აყენებს მორიგ საკითხს საკურამოს მამულის შესახებ. ამ
საგნისა გამო მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს გამგეობის ვრცელ მოხსე-
ნებას. ამ მოხსენებით გამგეობა წინადადებას აძლევს კრებას ნება დართ
მას, უკეთუ არსებული საიჯარო წესი ხელსაყრელი არ შეიქმნება საზოგადო
ბისათვის, უკიდურეს შემთხვევაში გაჰყიდოს საკურამოს მამული და თავის
მოხსენებით გაყიდვის პირობათა შესახებ წარუდგეს საგანგებოდ ამ მიზნის
თვის მოწვეულს საზოგადო კრებას.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ გააცნო კრებას ქართულ
სახოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობის მიერ 5 დეკემბრის თარიღით
გამოგზავნილ ქაღალდის შინაარსი: სამეურნეო საზოგადოების გამგეობას გ
უგია რა წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის განზრახვა საკურამოს მამუ-
ლის გაყიდვის შესახებ, საგანგებო კრება მოუხდენია და დაუდგენია ან ხა
გრძლივი იჯარით აიღოს ან და შეიძინოს საკუთრებად ხსენებული მამული, რა
საც სჭირდება დასტური საზოგადო კრებისაგან, რომელიც 13 დეკემბერსაა
დანიშნული, ამისთვის სთხოვს გამგეობას ამ საკითხის განხილვა გადასდოს
იმ დრომდე, ვიდრე საბჭო მიიღებს სამეურნეო საზოგადოების წლიურ კრები-
საგან შესაფერს უფლებას საკურამოს მამულის შეძენის შესახებ. წ. კ. გ.
საზოგადოების გამგეობა სიამოვნებით ეგებება სამეურნეო საზოგადოების
საბჭოს განზრახვას მამულის შეძენის შესახებ, მაგრამ საკითხის შემდეგ
სათვის გადადებას საჭიროდ არ სთვლის, რადგან ეს ხელს არ შეუშლის ხსე
ბულ საზოგადოების საბჭოს თავისი დადგენილება სისრულეში მოიყვანოს. ჩვე
ნი დღევანდელი კრება მხოლოდ პრინციპიალურად გადასწყვეტს საკითხს მამუ
ლის გაყიდვის შესახებ.

ს. გაბუნია - შეუძლებლად და შეუწყნარებლად სთვლის საკურამოს მამუ-
ლის გაყიდვას, ხოლო საქმისთვის სასარგებლოდ აღიარებს მამული გაიცეს ი
რით ან კერძო პირთაგან შემდგარ ამხანაგობაზე, ან თვით სამეურნეო სა-
ზოგადოებაზე.

ლ. ცაგარელი წინააღმდეგია მამულის როგორც გაყიდვისა, ისე იჯარით გა
ცემისა. მისი აზრით, წ. კ. გ. საზოგადოება სოფლის ეკონომიურ განვითარე
ბას სათავეში უნდა უდგეს, ამიტომ საზოგადო კრებამ უნდა დაავალოს გამგ
ობას დაარსოს კოოპერატიული სექცია და ამ სექციის საშვალებით თვითონ
აწარმოვოს საკურამოს მამულის საქმე. ორატორი მიუთითებს გალიციის ერთ
განმანათლებელ საზოგადოების "პროსვიტას" მაგალითზე, რომელმაც ეპისკო-
პოზის მიერ შემოწირული სოფლის მამული გააშშვენიერა და შემოსავლის წყა-

როლ გადააქცია.

ა. ნულაძე პირადად წინააღმდეგია მამულის გაყიდვისა, მაგრამ თუ გამ-
გეობის წინადადებას გაყიდვის შესახებ კრება დაადასტურებს, მამული აუცი
ებლად უნდა მიეყიდოს ადგილობრივ გლეხებს, თუ გაყიდვა არ გადაწყდება,
მაშინ უმჯობესია მამული მიეცეს ხანგრძლივის იჯარით სამეურნეო საზოგადო
ებას, როგორც სპეციალურს დაწესებულებას.

ი. რამიშვილის აზრით, უმჯობესია მამულის იჯარით გაცემა, თუ მოიჯარა
ერენი საიჯარო პირობებს შეასრულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მამული
უნდა გაიყიდოს, ან გადაეცეს ქართულ სამეურნეო საზოგადოებას მოსავლელად.

აგ. ბუკიას აზრით გამგეობის წინადადება მისაღებია, და მამული აუცი-
ლებლად უნდა გაიყიდოს, რომ საზოგადოებამ ზარალი არ ნახოს.

გ. ლასხიშვილი. სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც ადგილობრივ დაათვა-
ლიერა გამგეობის თხოვნით საყურამოს მამული თავისი ვრცელი მოხსენება წა
რუდგინა გამგეობას, ამ მოხსენების დედა აზრი ის არის, რომ მამულის შე-
მოსავლიანად გადაქცევა შესაძლებელია, ხოლო საჭირო ხარჯების გაწევა,
თუ წ. კ. გ. საზოგადოება თვითონ ივისრებს განსაკუთრებულ მოსამსახურე
პირთა მოწვევით მამულის ექსპლოატაციას, ყოველ წლიურად უნდა იხდოს 8000
მანეთი, ასე რომ სამის წლის განმავლობაში, იმ დრომდე, სანამ მამული თვი
თონ დაფარავდეს ხარჯს, საზოგადოებამ უნდა გასწიოს 24,000 მანეთზე მეტი
ხარჯი. შემოსავალი კი იქნება 6410 მან. ე. ი. საზოგადოებას ექნება დე-
ფიციტი 18,000 მანეთამდე, უკეთუ იჯარით გასცემს, მამულს არა ნაკლებ 12
წლისა - უნდა დახარჯოს 8000 მ. ერთდროულად. მოიჯარადრეები კი სამის წლის
განმავლობაში არაფერს იხდიან. ასე რომ ორივე გზა, ხსენებული სპეციალუ-
რი კომისიის მოხსენებით ნაჩვენები, საზოგადოებისათვის ხელსაყრელი არ
არის. ამიტომ გამგეობა დაადგა იმ აზრს, რომ მამული უკიდურეს შემთხვევა
ში გაჰყიდოს., მაგრამ რომელიმე საზოგადო დაწესებულებაზე; ან თავად-აზნაუ
რობას მიჰყიდოს ან სამეურნეო საზოგადოებას, ხოლო თუ არც ერთი და არც მე
ორე არ იყიდის მამულს, მაშინ უნდა მოგვენახა კერძო პირი არჩევით, ეხლა
საკითხი თავის თავად ირკვევა. სამეურნეო საზოგადოების საბჭო წინადადე-
ბას იძლევა იყიდოს მამული, ან ხანგრძლივი იჯარით აიღოს. საზოგადოებისათ-
ვის უფრო ხელსაყრელი იქნება მეორე გზა, ე. ი. თუ სამეურნეო საზოგადოება
აიღებს მამულს ხანგრძლივი იჯარით. უკიდურეს შემთხვევაში გამგეობა თანახ
მა იქნება იმისაც, თუ ხსენებული საზოგადოება მამულს შეისყიდის. ორივე
შემთხვევაში პროექტი ხელშეკრულობის პირობათა უნდა წარედგინოს საზოგადოე-
ბის წევრთა საგანგებო კრებას. ორატორის აზრით, კრებამ ეხლავე უნდა გა-
დაწყვიტოს საკითხი (პრინციპიალურად ნება დართოს გამგეობას მამულის ან
გაყიდვისა, ან ხანგრძლივი იჯარით გაცემისა.

ფ. მგელაძე საჭიროდ სთვლის საკითხის განხილვა გადაიდოს, ვიდრე სამ
ურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება თავის განაჩენს გამოიტანს
ა. ლულაძის აზრით, მამული წ. კ. გ. საზოგადოების საკუთრებად უნდა
დარჩეს, მაგრამ მამულმა რომ სარგებლობა მოიტანოს, საჭიროა მის მოსავ
ლად საქმის მცოდნე კაცის მოწვევა.
დ. ხართიშვილის აზრით მამული უნდა ჩაბარდეს სპეციალისტებს და საზო
გადოება სარგებლობას მაშინ ნახავს.
ნ. ხომერიკის აზრით, რადგან გამგეობის მოხსენება საკმარისად ვერ
კვევს განსახილველ საგანს, უნდა გადაიდოს, ხოლო აირჩეს განსაკუთრებ
ლი კომისია, რომელიც შეისწავლის არსებულ მასალას, დაათვალიერებს მა-
მულს, ადგილობრივ გაეცნობა საქმის ვითარებას და თავის დასკვნას წარმო
გენს საზოგადო კრებას. ამასთან ორაცორს შეუძლებლად და საზარალოდ მიაჩ
ნია მამულის გაყიდვა, როცა მამულის ფასი საზოგადოდ თან და თან იწევს
და ურჩევს გამგეობას ~~გამგეობას~~ გაიხსნას მელიორაციული კრედიტი და მის
საშვალებით გააუმჯობესოს მამულის საქმე.
ი. მუმულიას აზრით, რადგან მამულის მოვლა-პატრონობა ძლიერ სამძიმო
წ. კ. გ. საზოგადოებისათვის, საკითხი ეხლავე უნდა გადასწყდეს. თუ გა-
ყიდვა გადასწყდება, მამული უთუოდ გლეხებმა უნდა შეისყიდონ, თუ იჯარით
გაიცემა, სამეურნეო საზოგადოებას უნდა გადაეცეს.
გრ. რცხილაძის აზრით სრულიად საჭირო არ არის ახალი კომისიის არჩევ
რა უნდა გააკეთოს ახალმა კომისიამ იმაზე მეტი, რაც გააკეთეს არსებულმ
კომისიებმა? ჩვენ ხელთა გვაქვს სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულ
სპეციალური კომისიის ვრცელი მოხსენება, რომლის შინაარსი მოხსენდა კრე
ბას. ამ მოხსენებით ნაჩვენებია ორი გზა მამულის ექსპლოატაციისა და
ორივე გზა საზოგადოებისათვის საზარალოა. ერთად ერთი გზაა ან ხანგრძ-
ლივი იჯარით გაიცეს მამული, ან და გაიყიდოს. აი ეს ორი კითხვა უნდა გ
დასწყვიტოს ეხლავე, დღევანდელმა კრებამ.
ა. მანშიაშვილის აზრით მამულის გაყიდვა შეუძლებელია. მამულის მომვ
ლელად აუცილებლად სპეციალისტები უნდა იქმნან მოწვეულნი და ეჭვი არ უნ
და წლიური შემოსავლის რაოდენობა სულ მცირე 7800 მანეთამდე მაინც იქნე
დ. ჯორჯაძე: ეთანხმება გამგეობის წინადადებას მამულის გაყიდვის შესა-
ხებ.
რ. გაბაშვილის აზრით წ. კ. გ. საზოგადოებამ უნდა ისარგებლოს სამე
ურნეო საზოგადოების წინადადებით, გადასცეს მას მამული მოსავლელად, მაგ
რამ იმ პირობით, რომ 3 წლის განმავლობაში წ. კ. გ. საზოგადოებამ იხა-
დოს ბანკის ვალის სარგებელი და სხვა სახელმწიფო ხარჯები და ამ ხნის
განმავლობაში საიჯარო გადასახადიდან გაათავისუფლოს ხსენებული საზოგა

ამ[illegible]ლოების გამგეობა.

გრ. ლიასამიძე შეუძლებლად სთვლის გაიყიდოს სახლი და ეზო, ადგილი, სადაც დიდებულმა მგოსანმა თავის სიცოცხლის 2/3 გაატარა და სადაც საუკეთესო თხზულებანი შექმნა. მამულის ეს ნაწილი უნდა დაიცოს წ. კ. გ. საზოგადოებამ, არავის დაანებოს იგი და მოუაროს მას. დანარჩენი მამული კი ორატორის აზრით, უნდა გაიყიდოს ან გლეხებზე ან და სამეურნეო საზოგადოებაზე.

ნ. ჩხიკვაძე ემხრობა ლიასამიძის აზრს: დაცულ იქმნას ილიას სახლი და ეზო, დანარჩენი მამული კი გაიყიდოს.

ს. ყაზახიშვილი აღნიშნავს, რომ წ. კ. გ. საზოგადოებას მამულის მოვლა არ შეუძლიან და ის მოლაპარაკენი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საზოგადოება შესძლებს მამულის მოვლასო, ამათ თავის დღეში ხელში ბარი არ აუღიათ... ჩვენ შევიმუშავეთ მამულის ექსპლოატაციის გეგმა. გავითვალისწინეთ წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ნავარაუდევი 10,000 მანეთი, მაგრამ მამულის გაკეთებას გაცილებით მეტი სჭირდება. სამეურნეო საზოგადოება იმ აზრს დაადგა, რომ ეს მამული ან საკუთრებად შეიძინოს ან ხანგრძლივი იჯარით აიღოს.

თავმჯდომარე საკითხს გამორკვეულად სთვლის და კრების გადასაწყვეტად ორ საკითხს სვამს: I. გადაიდოს ამ საკითხის განხილვა, თუ ახლავე გადაწყდეს. ხმის უმეტესობით 45 ხმით წინააღმდეგ 25 ხმისა გადაწყდა საკითხის ახლავე განხილვა.

შემდეგ თავმჯდომარე კენჭს უყრის გამგეობის წინადადებას: შესაძლებელია თუ არა უკიდურეს შემთხვევაში გაიყიდოს საგურამოს მამული.

კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით დაადგინა:

"გამგეობის წინადადება უკიდურეს შემთხვევაშიაც კი მამულის გაყიდვის შესახებ უარყოფილ იქმნას, ამასთან დაევალოს გამგეობას მიიღოს სათანადო ზომები გასცეს იჯარით მამული ისეთ პირზე ან დაწესებულებაზე, რომ საიჯარო პირობები სრულდებოდეს და საზოგადოებისათვის ხელსაყრელი იქმნას".

თავმჯდომარე: უკანასკნელ საზოგად კრებაზე ინსტრუქციის მუხლების შეცვლის შესახებ კამათის დროს კრების ზოგიერთი წევრები ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, ვითომ გამგეობა საზოგად ინტერესით და საქმის სიყვარულით კი არ ხელმძღვანელობდეს, არამედ მოქმედებდეს მიდგომით და რაღაც კერძო ინტერესების მიხედვით... დაგვბრალდა ნათლიმამობა, აუტანელი ატმოსფერის შექმნა, საზოგადოების დაჩიავება და ასე გასინჯეთ, შემოწირულის ფულების გაჯიბვაც კი იყო ნახსენები. ეს სიტყვები და ბრალდებანი, მართალია, გავრით იყვნენ ნათქვამნი ერთის ორის პირისაგან, რაიცა ყოველს კრებაზეა მოსალოდნელი, მაგრამ დანარჩენი საზოგადოების მხრით ამ სიტყვების გულგრი-

ლად მოსმენა ეჭვს უძრავს გამგეობას, ვაი თუ მთელი კრება იზიარებდეს ბრალდებას. ერთის წევრის წინადადება კომისიის არჩევის შესახებ სექციათა შორის დავის გამოსარკვევად, როდესაც გამგეობა გადაჭრით ამბობდა, თავის აზრს ამ დავის შესახებ, თითქოს შეადგენს გამგეობის მიმართ იმ უნდობლობის შედეგს, რომელიც გამოსჩანდა კრების ქცევაში. თავის ეჭვის გამოსარკვევად გამგეობა საჭიროდ სთვლის შემდეგი განაცხადოს:

როგორც საზოგადოდ, ისე კერძოდ წარსულს კრებაზედ განხილულის კითხვის დროს გამგეობა ხელმძღვანელობდა მხოლოდ საზოგადო ინტერესებით და უანგარობით. არავითარს მიკერძებას და საზოგადო ინტერესების დათრგუნვას მის მოქმედებაში ადგილი არა ჰქონია - იგი თავის მოქმედების საფუძვლად სთვლის საზოგადოების ნდობას და ნდობის უქონლად შეუძლებლად სცნობს ასამსახურს. რადგანაც უკანასკნელის კრების დროს დანახულ იქნა ნდობის დაკარგვის საეჭვო ნიშნები, ამიტომ გამგეობა საჭიროდ სთვლის აღძრული ეჭვი გაფანტულ იქნას და ცხადი შეიქნეს, საზოგადო კრება ენდობა მას თუ არა. თუ მართლა საზოგადო კრება არ ენდობა გამგეობას, მაშინ იგი მოვალედ სთვლის თავს გადადგეს და დანიშნოს ახალი კრება ახალი გამგეობის ასარჩევად."

შ. ქარუმიძე. არავითარი განზრახვა არ მქონია ~~რაიმე~~ უნდობლობა გამ-მეცხადებინა გამგეობისათვის.

დ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ წ. კ. გ. საზოგადოება ეს ერთად ერთი დაწესებულებაა, სადაც საქმე შედარებით სხვა ჩვენ დაწესებულებებთან უფრო კარგად მიდის... თუ ორი გამგეობის წევრი ისე არ მოიქცა, როგორც მათ ღირსებას შეეფერებოდა, რა შუაშია აქ მთელი გამგეობა. მე წინადადებას ვაძლევ კრებას სრული ნდობა გამოეცხადოს გამგეობას და ეთხოვოს მას დარჩეს და განაგრძოს მუშაობა.

ფ. მგელაძის აზრით, წაკითხულ ოქმიდან სრულიადაც არ სჩანს, რომ ვინმეს გამგეობისათვის რაიმე უნდობლობა გამოეცხადებინოს; ~~და~~ გამგეობის ეჭვები უსაფუძვლოა.

ამ ორატორს სხვებიც ემხრობიან და კრება ერთხმად ადგენს: „გამოეცხადოს გამგეობას ხელ-ახალი ნდობა და ეთხოვოს განაგრძოს თავის მოვალეობის ასრულება."

თავმჯდომარე. როგორც მოგეხსენებათ, 1913 წლის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად გამგეობამ საგანგებო კომისიის დახმარებით შეისყიდა ილიასეული სახლი ანდრიას ქუჩაზე. ეს სახლი ამ დღეებში უნდა დამტკიცდეს საზოგადოების სახელზე, მაგრამ ნოტარიუსი თხოულობს საზოგადო კრების დადგენილებას, რომ გამგეობას დავალებული აქვს ხსენებული სახლის შეძენა. გთხოვთ ასეთი დადგენილება გამოიტანოთ.

კრებას თავმჯდომარის წინადადების თანახმად გამოაქვს შემდეგი დადგენილება: "დაევალოს გამგეობას სისრულეში მოიყვანოს 1918 წლის საზოგადო კრების დადგენილება ილიასეული სახლის შეძენისა და საზოგადოების სახელზე დამტკიცების შესახებ".

კრება შესწყდა დღის 4 საათზე. შემდეგი კრების დანიშვნა კრებამ მიანდო გამგეობას.

კრებ. თავმჯ.–ლე: ი. ჯავახიშვილი.

მდივანი. ვ. [illegible]

# ო ქ მ ი

## ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრების I2 დეკემბერს I9I5 წელს.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა დ.გ.კარიჭაშვილმა საღამოს 8 საათსა და 20 წუთზე. დაესწრენ საზოგადოების საპატიო წევრნი ანასტასია წერეთელი, გამგეობის წევრნი: გ.ლასხიშვილი, გ.ცინცაძე გრ. რცხილაძე, ი.გიორგობიანი, ივ. ვართაგავა, პოლ.კიკალიშვილი, ნ.ნაკაშიძე, მდივანი ვ. ბურჯანაძე და37ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი ვ. ბურჯანაძე კითხულობს 6 დეკემბრის საზოგადო კრების მიერ გამოტანილ დადგენილებებს. კრება დადგენილებებს ერთხმად ამტკიცებს.

თავმჯდომარე. დღევანდელი კრების განსახილველი საგანია I9I6 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

ე.თაყაიშვილი:22 ნოემბრის საზოგადო კრებას არ დავესწრებივარ, რადგან ამ კრებაზე საზოგადოების ერთი წევრი მე შემხებია, ამიტომ ნება მიბოძეთ /მიმართავს თავმჯდომარეს/ მო კლედ განუმარტო კრებას საქმის ვითარება.

თავმჯდომარე: ინებეთ.

ე.თაყაიშვილი: ხსენებულ კრებაზე, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი წ.კ.გ.საზ. და საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმების შეერთების შესახებ, ბ-ნს ვახტანგ ლამბაშიძეს უთქვამს, ე. თაყაიშვილი წინადადებას იძლეოდა მუზეუმი რუსეთში გადაგვეტანაო. ვერ დავარწმუნეთ ვერც მე, ვერც პროფეს. ჯავახიშვილმა, რომ ეს შეუძლებელი იყო. სიტყვა მუზეუმს ზევით დამტკიცებული აქვს თავმჯდომარის ხელით: "როცა საეკლესიო მუზეუმის გადატანის შესახებ იყო ბჭობა.

მდივანი ვ.ბურჯანაძე: უკაცრავათ, მე მოგახსენეთ, რომ ეს მე თვითონ ჩავამატე, რადგანაც რემინგტონზე გადაბეჭდვის დროს გამორჩენილათქო".

ე.თაყაიშვილი განმარტებით კმაყოფილდება და განაგრძობს: ჩვენ ბჭობა გვქონდა საეკლესიო მუზეუმის ტფილისიდგან გატანის შესახებ. წინადადება იყო მოცემული მთავრობისაგან, რომ მუზეუმი გადატანილ ყოფილიყო იქ, სადაც გადაჰქონდათ ტფილისიდან ყველა ოფიციალი ქაღალდები, ე.ი. თერგის ოლქში, როშანოვკაში. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი და გამოვსთქვი აზრი, რომ თუ გადატანაა, სჯოდა მუზეუმი გადატანილი ყოფილიყო მოსკოვს და იქ მიბარდებოდა შესანახად ერთს სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც

ლებულობდა შესანახად სხვა ქალაქების მუზეუმებსაც. როცა ჩვენი მუზეუმის შესახებ იყო თათბირი, ბ-ნი დ.კარიჭაშვილიც იქ ბრძანდებოდა, როგორც წევრი და მიკვირს, რატომ განმარტება არ მისცა ვახტ.ლამბაშიძის განცხადებას, რომელიც სისწორეს მოკლებულია. მე ვაცხადებ, რომ სამუზეუმო სექციის წევრობას ამიერიდან თავს ვანებებ.

დ.გ.კარიჭაშვილი: მე თავის დროზე გავაჩერე ორატორი და შესაფერი განმარტებაც მივეცი მის განცხადებას. მე მივუთითე მისი განცხადების უადგილობაზე, რომ საეკლესიო მუზეუმი აქ მოსატანი არ არის, რადგან ჩვენ ბჭობა გვაქვს მხოლოდ ჩვენს მუზეუმზე რომლის მოსკოვში გადატანის შესახებ თაყაიშვილს სიტყვა არ დაუძრავს მეთქი.მე-გთხოვთ თქვენი განცხადება უკან წაიღოთ და დარჩეთ სამუზეუმო სექციის წევრად, როგორც საპატიო და სასარგებლო წევრი. /თავმჯდომარე მიმარ თავს კრებას წინადადებით, სთხოვოს ბ-ნ თაყაიშვილს დარჩეს სექციის წევრად, ხოლო მისი თაყაიშვილის განმარტება დამაკმაყოფილებლად აღიაროს./

კრება სთხოვს ბ-ნს თაყაიშვილს კვლავ დარჩეს სექციის წევრად.

ს.დადიანი.მომავალში რომ ასეთ საგნებზე ლაპარაკი მოისპოს, დღევანდელმა კრებამ უნდა გამოიტანოს დადგენილება და შეიტანოს ოქმში, რომ რაც უნდა უსაშინელესი პირობები დადგეს, მუზეუმების გადატანა შეუძლებელია და აქვე უნდა დარჩეს.

დ.ძუმბაძე საჭიროდ არ სთვლის ოქმში ასეთი დადგენილების შეტანას.

კრებას ამ საგნის შესახებ გამოაქვს შემდეგი დადგენილება:"ექვთიმე თაყაიშვილის განმარტება ერთხმად მიღებულ იქმნას და ეთხოვოს მას უკან წაიღოს განცხადება და კვლავ დარჩეს სამუზეუმო სექციის წევრად.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი კითხულობს I916 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიშს.

ანასტასია წერეთლისა: საწევრო გადასახადის წყაროდ 6 შემოსავალში ნაჩვენები 500 მანეთი ძლიერ მცირეა, ეს ჯამი გადიდებულ უნდა იქმნას ორჯელ და 500 მანეთზე მეტი რა შემოვა გადაიდოს განათლების საზოგადოების სასარგებლოდ.

თავმჯდომარე. გთხოვთ ილაპარაკოთ აღრიცხვის თვითოეულ მუხლის შესახებ არსებითად. განათლების საზოგადოების დახმარებაზე ცალკე კითხვა იქნება და მაშინ ბრძანეთ.

ე.თაყაიშვილი შესაძლებლად სთვლის გადასახადი ნავარაუდევი იქმნას I000 მანეთი.

დ.ხართიშვილს ვერ აუხსნია რით ხელმძღვანელობდა გამგეობა, როცა

შემოსავლის აღრიცხვაში შეჰქონდა 500 მანეთი. მისი აზრით თამამად შეიძ-
ლება 2000 მანეთის შეტანა, ნუ თუ  ტფილისში 2000 მანეთიანი წევრის
პოვნა გაჭირდება?

დ.ღუმბაძე ემხრობა თაყაიშვილის აზრს და წინადადებას იძლევა შეტა-
ნილ იქმნას 1000 მან. ხოლო აქედგან 500 მანეთი მიეცეს განათლების
საზოგადოებას.

ა.წულაძე წინადადებას იძლევა  დაიბეჭდოს საკვიტანციო წიგნაკები ათ-
ეთი კვიტანციით დაურიგდეს წევრებს, რომლებიც ეცდებიან და შეაგროვე-
ბენ საწევრო ფულს.

ს. გაბუნიას აზრით, საწევრო გადასახადის შემკრებთ დაენიშნოს ჯილ-
დოდ განსაზღვრული % %-ბი.

გ.გორდეზიანს შესაძლებლად მიაჩნია თუ გამგეობა ფხას გამოიჩენს და
ენერგიულ ზომებს მიიღებს, იშოვოს საქართველოში 20,000 წევრი.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ საწევრო გადასახადი 500 მანეთი ნავა-
რაუდევია ტფილისის მცხოვრებთა შორის, ტფილისს გარეშე მაზრებში და და-
ბებში არსებობს ფილიალი განყოფილებანი და მაზრებში მცხოვრებნი იქ
ეწერებიან წევრებად.

კიდევ მცირე კამათის შემდეგ კრება შესაძლებლად აღიარებს ნავარაუ-
დევი საწევრო  გადასახადი გადიდებულ იქმნას ორჯელ. ე.ი. 500 მანეთის
ნაცვლად შეტანილ იქმნას 1000 მანეთი.

დ.ხართიშვილის აზრით, ნავთლუღის სკოლაში დაწესებული სასწავლო გა-
დასახადი  უნდა მოისპოს და შემოსავლის აღრიცხვაში  აღნიშნული 60 მანე-
თი უნდა სრულიად ამოიშალოს.

კრება ხართიშვილის აზრს არ იზიარებს და ნავარაუდევ60 მანეთს სტო-
ვებს.

დ.ხართიშვილი კრების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მაღა-
ზია თავის თავს ვერ ინახავს, მაღაზია საზრდოობს საწყობით და ეს უკა-
ნასკნელი რომ მოვაშოროთ, მაღაზია ვერ დაფარავს იმ ხარჯებს , რომელსაც
ის ეწევა. გამგეობას აქამდე ვერ მოუხერხებია  გაეერთიანებინა მაღაზია
გადაეტანა იგი შესაფერისს ადგილს, რომ მუშტარი მიიზიდოს. დღეს თუ მო-
დიან ჩვენთან, მხოლოდ იმიტომ,რომ P.C. და სხვა გოგებაშვილის წიგნები
სხვაგან არ იშოვება.

ე.თაყაიშვილი. გასავლის აღრიცხვის მე-27 მუხლის ლოლობერიძის საპ-
რემიო -400 მ.  წაკითხვის დროს ეხება არსებულ საპრემიო წესებს და სა-
ჭიროდ სთვლის ამ წესების გამარტივებას რადგან არსებული წესები ძლიერ

რთულია და პრემიის დანიშვნას აძნელებს.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ გამგეობას განზრახული აქვს ხსენებული წესების შეცვლა და კიდევაც მიანდო ერთ თავის წევრს წესების გადასინჯვა და ახალი პროექტის შემუშავება.

გ.იმნაიშვილი, აპ.წულაძე, ე.თაყაიშვილი და დ.დუმბაძე აუცილებელ საჭიროებად სთვლიან ყურადღება მიექცეს საქართველოს იმ კუთხეებს, სადაც ქართულ ენას განსაცდელი მოელის განსაკუთრებით ბორჩალოს მაზრაში საინგილოს და სამეგრელოს, ამისათვის მათის აზრით აღრიცხვაში შეტანილი სამი ახალი სკოლის გასახსნელად I000 მანეთი ძლიერ მცირე ჯამია და გამგეობამ უნდა გამონახოს რაიმე საშვალება, რათა დასახელებულ ადგილებში აუცილებლად გაიხსნას მომავალი სასწავლო წლიდან ოთხი თუ არა სამი სკოლა მაინც.

კამათი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ისპობა. კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: "გამგეობის მიერ წარმოდგენილი I9I6 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა დამტკიცდეს იმ ცვლილებით, რომ საწევრო გადასახადიდან ნავარაუდევი 500 მანეთი გადიდებულ იქმნას I000 მანეთამდე ამის მიხედვით შემოსავლის აღრიცხვაში შეტანილ იქმნას ჯამი 55,260 და 53 კაპ.

ეთხოვოს გამგეობას გამოსძებნოს საშვალება სამი ახალის სკოლის დასაარსებლად- საინგილოში, ბორჩალოს მაზრაში და სამეგრელოში".

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი კითხულობს განათლების საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობას ქალთა სემინარიისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და თან წ.კ.გ.საზ. გამგეობის დადგენილებასაც, რომლითაც უსახსრობისა გამო ხსენებულის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას შეუძლებლად სთვლის.

დ.დუმბაძე საჭიროდ სთვლის გადადებულ იქმნას განათლების საზოგადოების ქალთა სემინარიის სასარგებლოდ 500 მანეთი.

გიორგი ცინცაძე განმარტავს გამგეობის დადგენილებას და აღნიშნავს, რომ უსახსრობის გამო წ.კ.გ.ს. გამგეობამ ვერ სცნო მოსახმარებლად რაიმე დახმარების აღმოჩენა ქალთა სემინარიის სასარგებლოდ,

გრ. რცხილაძის აზრით, როგორც წ. .გ.საზოგადოებას ისე განათლების საზოგადოებას, როგორც კერძო განმანათლებელთ საზოგადოებებს, ერთი და იგივე შემოსავლის წყაროები აქვსთ: საწევრო გადასახადი, სეირნობა, კონცერტი და სხვა შემოწირულებანი. ამ საზოგადოებებს დახმარებას სხვები უწევენ და ერთმანეთს რა დახმარება უნდა გაუწიონ. მიზანი ერთი და იგივეა.

დ.დუმბაძეს, მღ.ნ.თალაქვაძეს, გრ.გორდეზიანს და გრ.იმნაიშვილს

21

შესაძლებლად მიაჩნიათ საწევრო გადასახადიდან ნავარაუდევ ფულიდან 500 მანეთი გადაიდოს განათლების საზოგადოების სასარგებლოდ.

კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: "გასავლის აღრიცხვაში შეტანილ იქმნას 500 მანეთი ერთდროულ დახმარებად განათლების საზოგადოების მიერ ახლად დაარსებულ ქალთა სემინარიის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად იმ შემთხვევაში, უკეთუ გამართლება საწევრო გადასახადიდან კრების მიერ ნავარაუდევი 1000 მანეთი."

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს სამი წარმომადგენელი კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართვ. კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირში.

მცირე თათბირის შემდეგ კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: "კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირში წარმომადგენლებად ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების მხრით არჩეულ იქმნან: გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი და გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი."

თავმჯდომარე სთხოვს კრებას სარევიზიო კომისიის შემადგენლობის შესავსებად აირჩიოს ორი ახალი წევრი და აუწყებს, რომ ხსენებული კომისიის წევრი ა. ღულაძე თავს ანებებს კომისიის წევრობას და თხოულობს განთავისუფლებას ხსენებული თანამდებობიდან. კრება კრება სარევიზიო კომისიის წევრებად ირჩევს: დეკ. ნიკ. თალაქვაძეს და ნაფ. ვექილს გრ. გორდეზიანს, ხოლო ანდრია ღულაძეს სთხოვს დარჩეს სარევიზიო კომისიის წევრად და განაგრძოს თავის მოთალეობის აღსრულება.

შემდეგ კრება ირჩევს წიგნების გამომცემელ სექციაში: ექიმ კონსტან. გვარჯალაძეს, ზაქარია ბილანაშვილს, გიორგი მაჭავარიანს და სამსონ დადიანს, ხოლო ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობ სექციაში: ქ-ნ ქრისტინე შარაშიძეს, სილოვან გაბუნიას და ისიდორე ჭანტურიას.

დასასრულ კრება ღებულობს 225 ახალ წევრს.

კრება დასრულდა ღამის II½ საათზე.

თავმჯდომარე

მდივანი

# სია

იმ წევრთა ვინც დაესწრნენ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების საერთო კრებას 21 იანვარს 1915 წ.

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible] ([illegible])
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]
12. [illegible]
13. [illegible] ([illegible])
14. [illegible]
15. [illegible]
16. [illegible]
17. [illegible] ([illegible])
18. [illegible] ([illegible])
19. [illegible]
20. [illegible]
21. [illegible]
22. [illegible]
23. [illegible]
24. [illegible]
25. [illegible]
26. [illegible]
27. [illegible]
28. [illegible] ([illegible])
29. [illegible]
30. [illegible]
31. [illegible]
32. [illegible]
33. [illegible]
34. [illegible]
35. [illegible]
36. [illegible]
37. [illegible]
38. [illegible]
39. [illegible]
40. [illegible]
41. [illegible]
42. [illegible]
43. [illegible]
44. [illegible]
45. [illegible]
46. [illegible]
47. [illegible]
48. [illegible]
49. [illegible]
50. [illegible]
51. [illegible]
52. [illegible]
53. [illegible]
54. [illegible]
55. [illegible]
56. [illegible]
57. [illegible]
58. [illegible]

59 [illegible]
60 [illegible]
61 [illegible]
62 [illegible]
63 [illegible]
64 [illegible]
65 [illegible]
66. [illegible]
67 [illegible]
68 [illegible]
69 [illegible]
70 [illegible]
71 [illegible]
72. [illegible]
73 [illegible]
74 [illegible]
75. [illegible]
76. [illegible]
77. [illegible]
78. [illegible]
79 [illegible]
80. [illegible]
81. [illegible]
82. [illegible]
83 [illegible]
84. [illegible]
85. [illegible]
86. [illegible]
87 [illegible]
88 [illegible]
89 [illegible]
90 [illegible]
91. [illegible]
92 [illegible]
93 [illegible]
94 [illegible]
95 [illegible]
96 [illegible]
97 [illegible]
98 [illegible]
99. [illegible]
100. [illegible]
101. [illegible]
102 [illegible]
103. [illegible]

# სია

იმ დეპუტატთა ვინც ღებულობს [illegible] ... [illegible] წლიური ... [illegible] 22 იანვარი 1918 წ.

1. [illegible] +
2. [illegible] +
3. [illegible] +
4. [illegible] +
5. [illegible] +
6. [illegible] +
7. [illegible] +
8. [illegible] +
9. [illegible] +
10. [illegible] +
11. [illegible] +
12. [illegible] +
13. [illegible] +
14. [illegible] −
15. [illegible] +
16. [illegible] +
17. [illegible] +
18. [illegible] +
19. [illegible] +
20. [illegible] +
21. [illegible] +
22. [illegible] +
23. [illegible] +
24. [illegible] +
25. [illegible]
26. [illegible]
27. [illegible] +
28. [illegible] +
29. [illegible] +
30. [illegible] +
31. [illegible] +
32. [illegible] +
33. [illegible] +
34. [illegible] +
35. [illegible] +
36. [illegible] +
37. [illegible]
38. [illegible] −
39. [illegible] +
40. [illegible] +
41. [illegible] −
42. [illegible] +
43. [illegible] +
44. [illegible]
45. [illegible] +
46. [illegible] +
47. [illegible] +
48. [illegible] +
49. [illegible] +
50. [illegible]
51. [illegible] +
52. [illegible] +
53. [illegible]
54. [illegible] +
55. [illegible] +
56. [illegible] +
57. [illegible] +
58. [illegible] +

59 [illegible] +
60 [illegible]
61 [illegible] +
62 [illegible] —
63 [illegible] +
64 [illegible] +
65 [illegible] +
66 [illegible] +
67 [illegible] +
68 [illegible] +
69 1 9 [illegible]
70. [illegible] +
71. [illegible] ~~+~~ +
72 [illegible] +
73 [illegible]
74. [illegible] +
75. [illegible] +
76 [illegible] +
77 [illegible] +
78 [illegible] +
79 [illegible] —
80 [illegible] —
81 [illegible] +
82 [illegible]
83 [illegible] +
84 [illegible] —
85 [illegible] +
86 ~~[illegible]~~ ?
87 [illegible] +
88 [illegible] +
89 [illegible] +
90 [illegible] +
91 [illegible] +
92 [illegible]

~~24~~ 25

Георгий Чичуа ?

[illegible] ? +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

[illegible] +

~~85~~.
+86
−6 92.
−10
102

102.
9
92

სია

წევრთა, რომელნიც დაესწრნენ ქ. შ. წ.-კ.-გამავრცელებელი საზ-
ოგადოების [illegible] კრებას 29 იანვარს 1915 წ.

1. [illegible]
2. [illegible] —
3. [illegible] ([illegible])
4. [illegible] —
5. [illegible] —
6. [illegible]
7. [illegible] +
8. [illegible]
9. [illegible] —
10. [illegible] +
11. [illegible] —
12. ~~[illegible]~~ [illegible]
13. [illegible] —
14. [illegible] —
15. [illegible] +
16. [illegible]
17. [illegible]
18. [illegible] +
19. [illegible]
20. [illegible] +
21. [illegible]
22. [illegible] +
23. [illegible] +
24. [illegible] +
25. [illegible] —
26. [illegible] —
27. [illegible] ([illegible]) —
28. [illegible]
29. [illegible] +
30. [illegible]
31. [illegible] +
32. [illegible] +
33. [illegible] ([illegible])
34. [illegible]
35. [illegible] +
36. ~~[illegible]~~
37. [illegible] +
38. [illegible]
39. [illegible] —
40. [illegible] —
41. ~~[illegible]~~ [illegible]
42. [illegible] —
43. [illegible]
44. [illegible] —
45. [illegible]
46. [illegible] +
47. [illegible] +
48. [illegible]
49. [illegible]
50. [illegible] —
51. [illegible] +
52. [illegible] —
53. [illegible]
54. [illegible] —
55. [illegible]
56. [illegible] —

57 [illegible] —
58 [illegible]
59 [illegible]
60 [illegible] —
61 [illegible]
62 [illegible] +
63 [illegible] —
64 [illegible]
65 [illegible] +
66 [illegible] +
67 [illegible] +
68 [illegible]
69 [illegible]
70 [illegible]
71 [illegible] +
72 [illegible]
73 [illegible]
74 [illegible] +
75 [illegible]
76 [illegible] +
77 [illegible] —
78 [illegible]
79 [illegible]
80 [illegible]
81 [illegible]
82 [illegible]
83 [illegible] —
84 [illegible]
85 [illegible] +
86 [illegible]
87 [illegible] +
88 [illegible] +
89 [illegible] +

[illegible] +
[illegible] −
[illegible]
[illegible] −
[illegible] +
[illegible] +
[illegible]
[illegible] +
[illegible]
[illegible] +
[illegible] +
[illegible] +
[illegible] −
[illegible] +
~~[illegible]~~ [illegible] +
[illegible] −
[illegible] +
[illegible] −
[illegible] +

+ 37
− 29

66.

# სია

[illegible]

1. [illegible] —
2. [illegible]
3. [illegible] —
4. [illegible] —
5. [illegible] —
6. [illegible] —
7. ~~[illegible]~~
8. [illegible] +
9. [illegible] —
10. [illegible] +
11. [illegible] —
12. [illegible] +
13. [illegible] —
14. [illegible] —
15. [illegible] —
16. [illegible] —
17. [illegible] +
18. [illegible]
19. [illegible] —
20. [illegible] —
21. [illegible] —
22. [illegible] +
23. [illegible]
24. [illegible]
25. [illegible]
26. [illegible] —
27. [illegible] +
28. [illegible]
29. [illegible] +
30. [illegible]
31. [illegible] +
32. [illegible] +
33. [illegible] —
34. [illegible] —
35. [illegible] —
36. [illegible] —
37. [illegible] +
38. [illegible] —
39. [illegible] —
40. [illegible] —
41. [illegible] +
42. [illegible] +
43. [illegible] —
44. [illegible]
45. [illegible] +
46. [illegible] +
47. [illegible] —
48. [illegible] +
49. [illegible] —
50. [illegible]
51. [illegible] +
52. [illegible] +
53. [illegible] +
54. [illegible] —
55. [illegible] —
56. [illegible]

~~90 [illegible]~~

57 [illegible] +
58 [illegible]
59 ვლ. ჭავჭავაძე —
60 [illegible] +
61 [illegible] —
62 [illegible] —
63 [illegible] +
64 [illegible] +
65 [illegible]
66 [illegible]
67 [illegible] —
68 [illegible]
69 [illegible] +
70 [illegible] —
71 [illegible] —
72 [illegible] —
73 ~~[illegible]~~ ??
74 [illegible] —
75 [illegible] —
76 [illegible] —
77 [illegible] +
78 [illegible] —
79 ~~[illegible]~~ +
80 ~~[illegible]~~ ??
81 [illegible] —
82 [illegible] +
83 [illegible] —
84 [illegible]
85 [illegible]
86 [illegible]
87 [illegible] —
88 [illegible]
89 [illegible] —

28

29

45 [illegible]

95 [illegible]

[illegible] ნ. ილიაშვილ — [illegible]

[illegible] —

29 30

# სია

იმ წევრთა, რომელნიც დაესწრნენ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წლიურს კრებას 12 აპრილს 1915 წ.

1 [illegible]
2 [illegible]
3 [illegible] ([illegible])
4 [illegible]
5 [illegible]
6 [illegible]
7 [illegible]
8 [illegible]
9 [illegible]
10 [illegible]
11 [illegible]
12 [illegible]
13 [illegible]
14 [illegible]
15 [illegible]
16 [illegible]
17 [illegible]
18 [illegible]
19 [illegible]
20 [illegible]
21 [illegible]
22 [illegible]
23 [illegible]
24 [illegible]
25 [illegible]
26 [illegible]
27 [illegible]
28 [illegible]
29 [illegible]
30 [illegible]
31 [illegible]
32 [illegible]
33 [illegible]
34 [illegible]
35 [illegible]
36 [illegible]
37 [illegible]
38 [illegible]
39 [illegible]
40 [illegible]
41 [illegible]
42 [illegible]
43 [illegible]
44 [illegible]
45 [illegible]
46 [illegible]
47 [illegible]
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58

ამ რვეულში დანომრილია ოცდა ცხრა (29) ფურცელი.

ნ. ხარიძელი.

23/I 1936 წ.

 სას.

В сем деле прон... листов
მ ს ... დანომრილი ... ფურცელი
двадцать девять 29
„3" V 195 г. [illegible]

28 / IV 6 30 ფურცელი

ЦГИА
ПРОВЕРЕНО:
„11" XI 195 г.